შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№44 (10.149)

1—7 დეკემბერი 2024 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

შეხვედრა სპორტული საზოგადოების წარმომადგენლებთან

სპორტის მომავალი მინისტრი შალვა გოგოლაძე კახეთის რეგიონის სპორტულ ინფრასტრუქტურას გაეცნო და მწვრთნელებსა და სპორტული საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდა. ის დედოფლისწყაროშიც იმყოფებოდა და ახლადაშენებული და ძველი სპორტული დარბაზები მოინახულა.

მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარებისთვის აუცილებელია რეგიონებში გამართული სპორტული ინფრასტრუქტურის, შესაბამისი ინვენტარისა და ეკიპირების არსებობა, სწორედ ამიტომ, საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე შალვა გოგოლაძე სამუშაო ვიზიტით კახეთის რეგიონს ეწვია. კახეთის მხარეში სახელმწიფოს რწმუნებულ გიორგი ალადაშვილთან ერთად იგი რეგიონის სპორტულ ინფრასტრუქტურას გაეცნო, შეხვდა მუნიციპალიტეტებში დასაქმებულ მწვრთნელებსა და სპორტული საზოგადოების წარმომადგენლებს.

შალვა გოგოლაძემ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან, სპორტსმენებისგან და მწვრთნელებისგან მოისმინა, რა სჭირდება დღეს კახეთის რეგიონში სპორტის განვითარებას. იმსჯელეს მუნიციპალიტეტებში სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების გზებზე, ახალი ინფრასტრუქტურის შექმნასა და მუნიციპალიტეტების სპორტულ დაწესებულებებში ინვენტარისა და ეკიპირების საჭიროებებზე.

პრობლემების გამოკვეთის შემდეგ დაიგეგმა ახალი პროექტებიც. შალვა გოგოლაძის განცხადებით, კახეთში მოქმედი სპორტული ორგანიზაციები უახლოეს პერიოდში ყველა საჭირო ინვენტარსა და ეკიპირებას მიიღებენ. აღინიშნა, რომ რეგიონებში სამუშაო ვიზიტები კვლავაც ინტენსიურად გაგრძელდება.

ქალთა მიმართ ძალადობა და სტერეოტიპები

საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობა კვლავ აქტუალურია. რამდენიმე დღის წინ გავრცელდა შემზარავი ინფორმაცია, თუ როგორ სცადა ქმარმა მძინარე მეუღლის ცოცხლად დაწვა მცირეწლოვანი შვილების თვალწინ. ქალი სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. როგორც მედიკოსები ამბობენ, მას სხეულის 70 პროცენტი დაზიანებული აქვს. სამწუხაროდ, ქალებზე ძალადობაც და ფემიციდიც, კანონის გამკაცრების მიუხედავად, მაინც არ იკლებს. შემაკავებელი ორდერის გამოწერა ქალთა სიკვდილიანობის მონაცემს არ ამცირებს.

ფემიციდის შესახებ სახალხო დამცველის ახალ სპეციალურ ანგარიშში საქართველოში ქალთა მკვლელობების პრევენცია უცვლელ პრობლემად რჩება.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2022 წლის განმავლობაში მომხდარი ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის 29 საქმე გააანალიზა, საიდანაც 15 ფემიციდის შემთხვევა იყო, 14 - ფემიციდის მცდელობის.ფემიციდის ჩამდენი პირების სურათი უცვლელია - მათი უმრავლესობა ქმარია ან პარტნიორი და ყოფილი პარტნიორი. ფემიციდის მცდელობის ჩამდენ პირებს შორისაც უმრავლესობა ქმარი ან შვილია. დანაშაულის ჩადენის მოტივად, 2022 წელსაც, მომხდარი ფაქტების უმრავლესობაში, „შურისძიება“ და „ეჭვიანობა“ გამოიკვეთა. სასამართლოები ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის მოტივად უთითებენ „გენდერულ ნიშანსაც“ - ფემიციდის 16 ფაქტის შემთხვევაში, ნახევარი სწორედ გენდერული ნიშნით არის ჩადენილი.

როგორც მკვლელობების, ისე მკვლელობის მცდელობების ადგილი, უმეტესად, სახლია. ასევე, სახლის წინ ეზო, ავტობუსი, სასაფლაო, ქუჩა. 2022 წელს, ფემიციდის ჩადენის იარაღი 7 შემთხვევაში დანა იყო, 2 შემთხვევაში - თოფი, 2 შემთხვევაში - ბლაგვი საგანი, 1 შემთხვევაში - ჩაქუჩი, 1 შემთხვევაში - ბენზინი, 1 შემთხვევაში - ხელებით დახრჩობა, 1 შემთხვევაში - ფიზიკური ანგარიშსწორება. დანაშაულის ჩადენის დროს მოძალადეები ფხიზლები იყვნენ. მათი უმრავლესობა საშუალო განათლების მქონე და უმუშევარი ან დაბალი შემოსავლის მქონე პირები არიან. ფემიციდის 16 შემთხვევიდან, 9 მოძალადისთვის ეს პირველი ნასამართლობაა, 5 - მანამდეც ნასამართლევი იყო, დანარჩენი 2 კი პირობითი მსჯავრის ქვეშ იყო. ფემიციდისათვის დანიშნული ყველაზე მკაცრი სასჯელი იყო უვადო თავისუფლების აღკვეთა, ყველაზე მსუბუქი - თავისუფლების აღკვეთა ათი წლის და 9 თვის ვადით. ფემიციდის მცდელობისათვის მისჯილი ყველაზე მკაცრი სასჯელი იყო თავისუფლების აღკვეთა 19 წლის ვადით, ხოლო ყველაზე მსუბუქი - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ვინ ფიქრობს ბავშვებზე, რომლებიც ფემიციდის გამო დაზარალდნენ?

2020 წლიდან, საქართველოს პროკურატურა დაზარალებულად ცნობს მოკლული ქალების იმ მცირეწლოვან თუ არასრულწლოვან შვილებს, რომლებიც შეესწრნენ ფემიციდის შემთხვევას ან გაიგონეს მსხვერპლის ხმა. თუმცა, როგორც ირკვევა, პროკურატურას არაერთგვაროვანი პრაქტიკა აქვს: მაგალითად, ოთხ საქმეში პროკურატურამ კვლავ ცნო დაზარალებულად არასრულწლოვანები იმის გამო, რომ დედის მიმართ ჩადენილი ძალადობის მოწმეები იყვნენ, თუმცა ოთხ საქმეში, მიუხედავად იმისა, რომ ფემიციდი/ფემიციდის მცდელობა დაზარალებულის არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით მოხდა, პროკურატურამ არასრულწლოვანები დაზარალებულად არ ცნო.

„შეშინებული გამოვედი მისაღები ოთახიდან და დავინახე დედაჩემი სამზარეულოს იატაკზე. ამაზე ჩავვარდი შოკში, ტვინი გამეთიშა და ამის მერე არაფერი აღარ მახსოვს“,

/გაგრძელება გვ.3/

პროტესტს საფუძველი არ აქვს

„ამ პროტესტს საფუძველი არ აქვს - ყველამ ზუსტად უნდა გაიაზროს, რა ხდება ჩვენი ქვეყნის გარშემო, ვის რაში სჭირდება ჩვენი ქვეყნის მუდმივი შანტაჟი? საზოგადოების გახლეჩა? - თუ ამას გაიზიარებენ გუშინდელი შეკრების მონაწილეები, დღეს არავინ აღარ გააპროტესტებს ჩვენს გუშინდელ ბრიფინგს“,- ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებს განუცხადა. მისივე თქმით, „უსამართლობას და შანტაჟს რეაგირება სჭირდება“.

„საქართველო დემოკრატიული ქვეყანაა და, რა თქმა უნდა, ყველას აქვს პროტესტის უფლება, მათ შორის მშვიდობიანი გზით, მშვიდობიანი ფორმით შეკრების უფლება. ეს უფლება თავიდან ბოლომდე დაცული უნდა იყოს. პირადად მე მიმაჩნია, რომ ამ პროტესტს საფუძველი არ აქვს, ერთი მარტივი მიზეზის გამო. რაც შეეხება ევროინტეგრაციას, ერთადერთი, ვინც ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციას ხელოვნურად აფერხებს, ესენი ევროპელი ბიუროკრატები და კონკრეტული პოლიტიკოსები არიან. ჩვენ წელიწად ნახევარი ვეხვეწებოდით მათ, მოენიჭებინათ კანდიდატის სტატუსი. ჩვენ ვამბობდით უარს კანდიდატის სტატუსზე? ვინმემ ოდესმე განმარტა, რატომ არ მიენიჭა საქართველოს 2022 წლის ივნისში კანდიდატის სტატუსი? არავინ განმარტა, როდესაც ამ ყველაფერს მოჰყვა რევოლუციის მცდელობა. რევოლუციის მცდელობაში პირდაპირ იყვნენ ჩართულები ის ორგანიზაციები, რომლებიც ასევე, უცხოეთიდან ფინანსდებიან. ეს ხომ არის განსამარტი. საზოგადოებამ ამასთან დაკავშირებით დასკვნები ხომ უნდა გამოიტანოს?!

ევროპარლამენტმა საქართველოსთან დაკავშირებით დღემდე, 5 რეზოლუცია მიიღო. ომის დაწყების შემდეგ გააქტიურდნენ და ხუთივე რეზოლუციის შინაარსი ძალიან კარგად მოგეხსენებათ, როცა კრიმინალების გათავისუფლებას ითხოვდნენ ციხეებიდან. საუბარია კრიმინალების მფარველობაზე. ითხოვდნენ მმართველი გუნდის ლიდერების დასჯას. გაუგონარი ჩანაწერებია. უსამართლობის მწვერვალია თითოეული ეს რეზოლუცია. ამასთან დაკავშირებით კითხვები ხომ უნდა დაისვას. მოლაპარაკებები რომ არ აქვს გახსნილი საქართველოს და გახსნილი აქვს მოლდოვას, ამასთან დაკავშირებით კითხვები არ უნდა დაისვას? რატომ არ ისმება ეს კითხვები საჯაროდ? რატომ არ აქვთ კითხვები? მოლდოვა დსთ-ს წევრი ქვეყანაა. სხვათა შორის, არც მოლდოვას არ დაუწესებია სანქციები. მოლდოვას დიპლომატიური ურთიერთობები აქვს რუსეთთან. ცოტა ხნის წინ, მოლდოვას პრემიერ-მინისტრმა გააკეთა განცხადება, რომ უნდა განაახლონ ურთიერთობები რუსეთის ფედერაციასთან. ერთი კრიტიკული განცხადება თუ გახსოვთ მოლდოვასთან დაკავშირებით, რომ ის რჩება დსთ-ს წევრად. გახსოვთ ასეთი კრიტიკული განცხადება? ხომ ხედავთ, რომ ყველაფერი აბსოლუტურად ხელოვნურია. ამ უსამართლობას და შანტაჟს რეაგირება სჭირდება. ჩვენ რომ ხელოვნური შანტაჟით ჩაგვტოვეს პოლარიზაციის პირობებში. ამას სჭირდება რეაგირება. სწორედ ამიტომ, მიმაჩნია, რომ ამ პროტესტს არავითარი საფუძველი არ აქვს. ყველამ ზუსტად უნდა გაიაზროს, თუ რა ხდება ჩვენი ქვეყნის გარშემო ამ სამი წლის განმავლობაში. ვის რაში სჭირდება ჩვენი ქვეყნის მუდმივი შანტაჟი, ვის რაში სჭირდება ჩვენი საზოგადოების გახლეჩა, რაში სჭირდებათ ეს ყველაფერი? ეს ქართულმა საზოგადოებამ უნდა გაიაზროს.

ჩვენ ერთადერთ რამეს ვამბობთ, ჩვენ ველოდებით უკრაინაში ომის დასრულებას. გვაქვს იმედი, რომ ამის შემდეგ ურთიერთობები თვისებრივად გადაიტვირთება. ვაგრძელებთ შეუფერხებლად სვლას ევროკავშირისკენ და სწორედ ამის გამო ვამბობთ, რომ შემდეგი 4 წლის განმავლობაში შესრულდება მთავარი - ეს არის ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული ვალდებულებების 90%-ზე მეტი და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ვალდებულებები 90%-ზე მეტი. თუ ამას გაიზიარებენ გუშინდელი შეკრების მონაწილეები, ამ შემთხვევაში დღეს არავინ აღარ გააპროტესტებს ჩვენს გუშინდელ ბრიფინგს. იმიტომ, რომ აბსოლუტურად ყველაფერი ცხადია, რა ითქვა გუშინ და რა ითქვა დღეს“,- განაცხადა პრემიერმა.

„არ იქნება დაყენებული მოლაპარაკებების გახსნის საკითხი იმისათვის, რომ ეს თემა ვინმემ შანტაჟის იარაღად არ გამოიყენოს“

„ჩვენი მხრიდან ოთხი წლის განმავლობაში გაგრძელდება ინტენსიური მუშაობა ასოცირების ხელშეკრულების და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით გათვალისწინებული ევროპული ვალდებულებების შესრულებაზე, თუმცა დღის წესრიგში არ იქნება დაყენებული მოლაპარაკებების გახსნის საკითხი იმისათვის, რომ ეს თემა ვინმემ შანტაჟის იარაღად არ გამოიყენოს. თუ ასეთი გადაწყვეტილება მათი მხრიდან იქნება, დადონ მაგიდაზე და დღესვე მოეწერება ხელი!“ - წერს „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი მამუკა მდინარაძე სოციალურ ქსელში.

ამასთან, მისივე თქმით, ძალადობა დასაგმობი და კატეგორიულად მიუღებელია აბსოლუტურად ყველას მიმართ, ეს იქნება პოლიციელი, ჟურნალისტი თუ სხვა ნებისმიერი მოქალაქე. მანვე აღნიშნა, რომ „ამავე დროს ამორალურია მხოლოდ ჟურნალისტის მიმართ ძალადობის გაპროტესტება და „შეშფოთება“ იმ ადამიანების მხრიდან, რომლებსაც იმედის ჟურნალისტზე თავდასხმა, პროფესიულ საქმიანობაში ხელისშეშლა და უკიდურესი შეურაცხყოფა საერთოდ არ შეუმჩნევია“.

„1. ჩვენი მხრიდან ოთხი წლის განმავლობაში გაგრძელდება ინტენსიური მუშაობა ასოცირების ხელშეკრულების და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით გათვალისწინებული ევროპული ვალდებულებების შესრულებაზე, თუმცა, დღის წესრიგში არ იქნება დაყენებული მოლაპარაკებების გახსნის საკითხი იმისათვის, რომ ეს თემა ვინმემ შანტაჟის იარაღად არ გამოიყენოს. თუ ასეთი გადაწყვეტილება მათი მხრიდან იქნება, დადონ მაგიდაზე და დღესვე მოეწერება ხელი!

კიდევ უფრო მოკლედ:

ჩვენ საკითხს 2028 წლამდე არ დავაყენებთ, თავად დადონ მაგიდაზე და ნებისმიერ დროს ხელს მოვაწერთ მგონი რთული გასააზრებელი არ უნდა იყოს!

2. ძალადობა დასაგმობი და კატეგორიულად მიუღებელია აბსოლუტურად ყველას მიმართ, ეს იქნება პოლიციელი, ჟურნალისტი თუ სხვა ნებისმიერი მოქალაქე.

ამავე დროს, ამორალურია მხოლოდ ჟურნალისტის მიმართ ძალადობის გაპროტესტება და „შეშფოთება“ იმ ადამიანების მხრიდან, რომლებსაც იმედის ჟურნალისტზე თავდასხმა, პროფესიულ საქმიანობაში ხელისშეშლა და უკიდურესი შეურაცხყოფა საერთოდ არ შეუმჩნევია!“ - წერს მამუკა მდინარაძე.

სამუშაო შეხვედრა სახელმწიფო რწმუნებულთან

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა, გიორგი ალადაშვილმა მუნიციპალიტეტების მერებთან მორიგი, სამუშაო შეხვედრა გამართა

გიორგი ალადაშვილმა მუნიციპალიტეტების მერებთან გამართულ შეხვდრაზე 2024 წელი შეაჯამა და კახეთის რეგიონში, 2025 წელს განსახორციელებელ, პრიორიტეტულ მიმართულებებზე ისაუბრა.

სამუშაო შეხვედრაზე განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

2024 წელს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების სტატისტიკა და შესრულების ვადები გეგმა - გრაფიკის შესაბამისად;

2025 წელს გარდამავალი და დაგეგმილი პროექტები;

მოახლოებული ახალი წლის დღეების ორგანიზებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო მიმართულება.

მუნიციპალიტეტების მერებთან გამართულ სამუშაო შეხვედრას კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები - პლატონ კალმახელიძე და გივი მეტრეველი ესწრებოდნენ.

ცენტრალური პარკის მოწყობა მომავალ წელსაც გაგრძელდება

დედოფლისწყაროს ცენტრალური პარკის რეაბილიტაციის ერთი ეტაპი დასრულდა. დედოფლისწყაროს მერიის ინფორმაციით, მომავალ წელს ატრაქციონები და გასართობი კუთხეები კიდევ დაემატება. პარკს წლის ბოლომდე ეყოლება პერსონალი, რომელიც მასზე იზრუნებს.

„დაცვის სამსახური და სპეციალური სამსახურები იზრუნებენ მის დაცვასა და მოვლა პატრონობაზე. რამოდენიმე კვირაში სრული დატვირთვით ამოქმედდება. ეს ყველაფერი არ არის. ახლა საბაზისო სამუშაოები დასრულდა, მომავალი წლიდან ატრაქციონებისა და სხვა კომპონენტების დამატება გაგრძელდება, რომელიც დამატებით ხიბლს შესძენს ამ ადგილს“ – აღნიშნავს ნიკოლოზ ჯანიაშვილი.

დედოფლისწყაროს ახალი რეკრეაციული სივრცე კახეთის რეგიონში, თავისი მასშტაბურობით გამოირჩევა. ქალაქის ცენტრალური პარკი 16 ჰექტარზე გაშენდა. მოეწყო საფეხმავლო და ველო ბილიკები, სპორტული და საბავშვო, გასართობი ინფრასტრუქტურა. ტერიტორიაზე განთავსდა ხელოვნური ტბა. პროექტი „განახლებული რეგიონების“ პროგრამის ფარგლებში, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განხორციელდა და მისი ჯამური ღირებულება 14 მილიონ ლარზე მეტია. ***შირაქი***

სოციალური ბიუჯეტი გაორმაგდა

დედოფლისწყაროში სოციალური პროგრამების დაფინანსება გაორმაგდა და მილიონს გადააჭარბა. ამის შესახებ დედოფლისწყაროს მერმა განაცხადა. მისი თქმით, სოციალური პაკეტი 2024 წელს 700 000-დან 1 013 700 ლარამდე გაიზარდა, რაც თითქმის 50%-იანი მატებაა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „დედოფლისწყაროს ისტორიაში ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია და დარწმუნებული ვარ, გაისად ეს თანხა კიდევ უფრო გაიზრდება, რაც საშუალებას მოგვცემს მეტი სოციალური პაკეტი და მომსახურება შევთავაზოთ ჩვენს მოქალაქეებს და მეტად ვიზრუნოთ სამიზნე ჯგუფებზე. კარგი პროექტები გვაქვს გეგმაში და საკრებულოს მხარდაჭერით კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდება ჩვენი შეთავაზებები. ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება იყო ასევე პენსიონერებისთვის, რომლებიც მოსახლეობის 25%-ს შეადგენენ, ასევე 18 წლამდე ბავშვებისთვის ძვირადღირებულ სამედიცინო კვლევებზე ყველა ტიპის შეზღუდვა მოხსნილია, არც სოციალურ სტატუსს ვთხოვთ, 500 ლარის ფარგლებში ყველა კვლევას ვუფინანსებთ. იმდენად კარგად გვაქვს გათვლილი სოციალური პროგრამები, რომ მოსახლეობის მხრიდან სრული 100%-იანი ათვისება იყო. მილიონიანი სოციალური ბიუჯეტიდან ყველაზე დიდი ნაწილი უფასო კვებას ხმარდება — სათნოების სახლი 312 000 ლარი, სამედიცინო მომსახურების დაფინანსება 282 000 ლარი, კომუნალური გადასახადების შეღავათი 65 000 ლარი და ა.შ.“ ***შირაქი***

მორიგი შესაძლებლობა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიისგან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია გაძლევთ უნიკალურ შანსს, დაეუფლოთ ვიდეო და ფოტო გადაღების ექვსდღიან კურსს.

*დაიწყეთ კარიერა ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად სფეროში.

*ისწავლეთ ვიდეო რედაქტირება, ფოტო-ვიდეო და დრონით გადაღება.

*გაეცანით Davinci Resolve - ს.

*მსურველთა გასაუბრება ჩატარდება 4 დეკემბერს .

*სწავლა დაიწყება 5 დეკემბერს.

*ადგილი: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა.

*ასაკი: 18 წლიდან .

*მსურველებმა მოგვწერეთ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ფეისბუქგვერდზე ან დაგვირეკეთ: 599 85 58 54

*განცხადებების მიღება ასევე შესაძლებელია მერიის მოქალაქეთა მისაღებში, მის: კოსტავას ქ. №44 , 1 სართული.



ქალთა მიმართ ძალადობა და სტერეოტიპები

/დასაწყისი პირველი გვერდიდან/

ეს ერთ-ერთი არასრულწლოვანის სიტყვებია, რომელიც ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში პროკურატურამ დაზარალებულად არ ცნო. არადა, ის მკვლელობის დროს სახლში იყო, ესმოდა ძალადობის ხმები და გასროლის ხმაზე გამოსულმა, ნახა სასიკვდილოდ დაჭრილი დედაც. სახალხო დამცველი წერს, რომ „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის 26-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ, ძალადობის მსხვერპლად აღიარონ ბავშვები, რომლებიც შეესწრნენ ოჯახში ძალადობას.

გენერალური პროკურატურის მონაცემებით:

2022 წლის 12 თვის მონაცემებით, ოჯახური დანაშაულის ნიშნით ჩადენილია 11 ქალის მკვლელობა. 6 შემთხვევაში გამოიკვეთა გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი.

მათგან 3 ქალი იყო 18-დან 30 წლამდე.

- **5 ქალი - 30-დან 40 წლამდე.**
- **1 ქალი - 40-დან 50 წლამდე .**
- **2 ქალი - 50-დან 60 წლამდე.**

2022 წლის 12 თვის მონაცემებით, არაოჯახური დანაშაულის ნიშნით ჩადენილია 10 ქალის მკვლელობა. მათი ასაკი 30-დან 70 წლამდეა.

* * *

25 ნოემბერი ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღეა. ამ დღიდან იწყება 16 დღიანი გლობალური კამპანია ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ.

კამპანია 1991 წლიდან ყოველწლიურად იმართება და მიზნად ისახავს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას და ქალთა უფლებების ირგვლივ სამოქალაქო კონსოლიდაციის გაძლიერებას.

25 ნოემბერს, ამ კამპანიის დაწყებასთან დაკავშირებით, სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის მოსწავლეებმა,(პედაგოგი მარიკა პოპიაშვილი), ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის შეხვედრების ოთახში, ჩაატარეს კონფერენცია თემაზე: ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღე. „ეს კონფერენცია მნიშვნელოვანია იმით, რომ მოზარდების მიერ გააზრებული და წარმოდგენილი თემები დადებითად დაილექება მათ ცნობიერებაში და დაეხმარებათ ძალადობის ფორმების ამოცნობაში, საკუთარი თავის და სხვების დაცვაში, პასუხისმგებლიან მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში“-ამბობს მერიის უფროსი სპეციალისტი ანა ბენაშვილი.

მოზარდებმა კონფერენციაზე სიღრმისეული ანალიზით წარმოადგინეს შემდეგი თემები: გენდერული სტერეოტიპები; ქალთა უფლებები მსოფლიოში; ფემინიზმის მნიშვნელობა; ქალების როლი ოჯახსა დ საზოგადოებაში; ცნობილი ქალები ისტორიაში; ქალები ლიდერის როლში; ქალები მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში; ქალები ლიტერატურაში; ქალები სპორტში და ქალები კოსმოსში. მოზარდებმა მოხდინეს, ასევე, თემების ვიზუალიზაცია და წარმოადგინეს თემატური ნახატები.

მოწვეული სტუმრებისგან (პედაგოგები, მერიის და პრესის წარმომდგენლები) შემდგარმა ჟიურიმ პირველი, მე-2 და მე-3 ადგილები მიაკუთვნა საუკეთესო ნახატების ავტორებს. ესენია: ანასტასია ივანოვი, ნიკიტა არზამასოვი, მარიამ ჩუხრუკიხე.

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფოს და მთელი საზოგადოების პრიორიტეტად რჩება, ამ ბრძოლაში თითოეული მოქალაქის აქტიური ჩართულობა, შესაბამისი ქმედებისკენ მოწოდება და კონკრეტული ქმედითი ნაბიჯების წახალისება უმნიშვნელოვანესია.

2022 წელს, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლითაც ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობა გაიზარდა. საქართველო მთავრობამ კი დადგენილება გამოსცა, რომლის მიხედვითაც ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს კომპენსაციის მიღების შესაძლებლობა გაუჩნდათ.

***

ოჯახის იერარქიულობა ქალებში უფროდაუფრო მეტად იწვევდა უსამართლობის განცდას, ამიტომ ქალებმა დაიწყეს საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლა. ამავე მიზნით ფემინიზმის პირველი ტალღის განვითარებას ჩაეყარა საფუძველი, რაც ხმის მიცემის უფლებას გულისხმობდა, ეს ნაბიჯი ყველაზე რევოლუციური იმ კუთხით იყო, რომ ქალი საჯაროდ აღიარეს, როგორც სრულუფლებიანი წევრი საზოგადოების. (სორენსენი, 2006) 2010 წლის 26 მარტს მიღებულ იქნა კანონი ქალისა და მამამაკაცის თანასწორობის შესახებ, საქართველოს კონსტიტუციით ეს კანონით განისაზღვრავს ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფის ძირითად გარანტიებს (საქართველოს პარლამენტი,2010), მაგრამ ეს კანონპროექტი საკმარისი არ აღმოჩნდა ქალთა მიმართ ძალადობის შესამცირებლად, ამას გარდა 2006 წელს მიღებული საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებეს განსაზღვრავს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალთა მიმართ ძალადობისათვის ან/და ოჯახში 6 ძალადობისათვის დამახასიათებელ ქმედებათა ერთობლიობას, ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს, აგრეთვე მსხვერპლთა სოციალური და სამართლებრივი დაცვისა და დახმარების გარანტიებს (საქართველოს პარლამენტი, 2006), დოკუმენტურად ქალთა უფლებები დაცულია, ამას უზრუნველყოფს საქართველოს კანონი, მაგრამ, გარდა სახელმწიფო ორგანოებისა, არსებობს ქალთა უფლებათა დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ პრევენციულ ღონისძიებებს ძალადობის შესამცირებლად, ასევე იცავენ დაზარალებულ ქალებს, რომლებიც ძალადობის მსხვერპლი გახდნენ და პოტენციურად ფემიციდის საშიშროების წინაშე დგანან. 2017 წელს ჩატარდა ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა, გამოკითხულ იქნა 15-64 წლამდე ქალბატონები, კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოში ყოველი 7 ქალიდან 1 ქალი მაინც გამხდარა ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი მისი პარტნიორისგან და 29 ქალიდან 1 ქალი მხოლოდ ბოლო წელს იყო სექსუალური და ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი. საქართველოში ქალთა 26,2 % განცდილი აქვს სექსუალური ძალადობა არა-პარტნიორისგან (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური,2019) სტატისტიკური მაჩვენებელი სახარბიელო ნამდვილად არ არის, მნიშვნელოვანი პრევენციული ნაბიჯი ყველა ჩვენთაგანის მოვალეობაა, მაგრამ მთავარი ამ მხრივ ისევ და ისევ ფართომაშტაბური ორგანიზაციების მხარდაჭერაა. 2014 წლიდან დღემდე ფემიციდის რიცხვი მნიშვნელოვნად მერყეობს 2014 წელს 33 ქალია მოკლული; 2016წელს -28 ქალი; 2018 წელს- 18 ქალი; 2020 წელს-22 ქალი; 2022 წლის 8თვე- 13 ქალი, (საქართველოს პროკურატურა,2022) .

ფემიციდის რისკის ქვეშ პოტენციურად ყველა ქალი მოიაზრება, თუმცა განსაკუთრებით ის ქალები, ვინც განქორწინებულები არიან ან კონფლიქტურ ქორწინებაში იმყოფებიან. ფემიციდი წარმოადგენს რისკს, რომელიც შიშს იწვევს, თრგუნავს ქალებს, რაც გარკვეულწილად მათ თავისუფალ არჩევანზე ნეგატიურ გავლენას ახდენს, რადგან საფრთხე არსებობს, რომ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამოიწვევს პარტნიორის, ყოფილი პარტნიორის ან მთლიანი საზოგადოების აგრესიას, რადგან ქალს „ბევრი რამ არ ეპატიება“, ბევრი რამ, რაც კაცისთვის სრულიად ბუნებრივია, ქალისათვის ყოვლად დაუშვებელია. სწორედ ამიტომ ქალებს მოქმედების არეალს საზოგადოების მიერ შექმნილი ჩარჩოები უზღუდავს, აგრესია იმდენად ძლიერი შეიძლება იყოს, რომ ფატალური შედეგითაც დასრულდეს.

ისეთი ტიპის ქალი, რომელიც ადრეულ ქორწინებაშია, ხშირად ხდება ძალადობის მსხვერპლი. ხშირად ამას მალავენ. როგორ შეიძლება დედამ არ იცოდეს, რომ მის შვილს სცემენ, ავიწროებენ. სწორედ ეს არის მსხვერპლის მთავარი მაიდენტიფიცირებელი - როცა ჰგონია, რომ ამის თქმა დიდი სირცხვილია, დამალვა კი მოძალადეს აძლიერებს.

ბოლო დროს სახელმწიფომ შეასუსტა ძალადობის მსხვერპლთა დაცვა, არ მიმდინარეობს აქტიური კამპანიები. შესუსტებული რომ არის, ამას ის ფაქტიც მოწმობს, რომ ამნისტია მოძალადეებსაც შეეხო, სასჯელის ერთი მეექვსედი ყველას ჩამოაკლეს. ბევრმა მოძალადემ მოახერხა მსხვერპლისგან თანხმობის მიღება, ზოგმა შანტაჟის, ზოგმა მუქარის, ზოგმა მოსყიდვის გზით.

ციხიდან გამოსული მოძალადეები ისევ გააგრძელებენ ძალადობას. მათთან არ მუშაობს არც ფსიქოლოგი, არც ქცევის კორექციის, არც ბაზის მართვის პროგრამები არსებობს. არადა, მოძალადის ქცევის კორექცია აუცილებელია. როცა ფემიციდი მოხდება, სახელმწიფო მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს რეაგირებას, გამოძიებას.

ფემიციდის რისკის შესამცირებლად უმნიშვნელოვანესი ქმედითი ნაბიჯი საზოგადოების მიერ უნდა იქნას გადადგმული, ძალადობის არც ერთი შემთხვევა არ უნდა უგულვებელვყოთ, არამედ შესაბამისი ორგანოები უნდა ჩავაყენოთ საქმის კურსში, სწორედ ეს გარემოება დათრგუნავს მოძალადეებს. ფემიციდით ყველაზე მეტად ზარალდება თავად მსხვერპლი, მაგრამ მსხვერპლის უკან დგანან მისი შვილები და მშობლები, რომლებსაც არანაკლებ ფსიქოლოგიური ზიანი ადგებათ, ამ ფაქტით, არამარტო ოჯახს არამედ მთელი ქვეყნისთვის 32 ფემიციდის თუ ძალადობით გამოწვეული სუიციდის შემთხვევა, უარყოფითად აისახება ჩვენივე ცხოვრების ხარისხზე.

ნებისმიერი პრობლემის დასაძლევად კი საჭიროა განათლება და საზოგადოების ნება, იმისი გაცნობიერება, რომ აგრესია და ძალადობა დაბალგანვითარებადი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი თვისებაა და ერთად უნდა აღუდგეს მას.

მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

შექმენი უკეთესი გარემო, უკეთესი მომავლისთვის

გაზეთი „შირაქი“ მუდმივად გვერდში უდგას და თანამშრომლობს ახალგაზრდა თაობასთან, სკოლებთან, მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და იმ ადამიანებთან, რომლებიც საკუთარი საცხოვრებელი და სასწავლო გარემოს უკეთესობისკენ შეცვლას, წინსვლას და განვითარებას ცდილობენ. გასულ ნომერში დაბეჭდილ სტატიაში „თბილ მიწაზე სიცოცხლის მრავალფერ ხალიჩას ქსოვდნენ...“, ვახსენეთ ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის ეკო-კლუბი „კარბონატები“. თუ ვინ არიან ეს ახალგაზრდები, რას აკეთებენ ეკო-კლუბის ფარგლებში და როგორ ეხმარებიან ისინი საკუთარ სკოლას და მეგობრებს - ამის გასაგებად გაზეთი „შირაქი“ ეკო-კლუბს სამუშაო სივრცეში ეწვია.

როგორ დაიწყო ყველაფერი?

ყველაფერი საერთო მიზნების გარშემო გაერთიანებით დაიწყო. წლების წინ ჩამოყალიბებული ეკო-კლუბის მიზანი, ბუნებრივი და სოციალური გარემოს გაუმჯობესების საქმეში, მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად გარკვეული წვლილის შეტანა, მოსწავლეთათვის საკუთარი უნარების გამოხატვის შესაძლებლობის მიცემა და პიროვნული ზრდის ხელშეწყობა გახდა. ზემო მაჩხაანის სკოლის ეკო-კლუბი წლების განმავლობაში ახორციელებდა სხვადასხვა აქტივობებს, პარალელურად გაწევრიანებულები იყვნენ ნორჩ ქიმიკოსთა გაერთიანებაში. სკოლის დაწვამ ცვლილებები შეიტანა მათ საქმიანობაში, გარკვეული პერიოდით შეფერხებით მუშაობდნენ, თუმცა, ახალი სკოლის აშენების შემდგომ, ბავშვები თავიანთი სურვილით კვლავ გაერთიანდნენ.

ეკო-კლუბის ამჟამინდელი შემადგენლობა მესამე თაობად მიიჩნევა, რომლებიც მათი თანატოლების გზას აგრძელებენ. ახალგაზრდები: ნატალი ნატროშვილი, ბარბარე მარტყოფლიშვილი, ანასტასია ბაღაშვილი, ანდრია იაკობიშვილი, ლიზი ქევხიშვილი, ლიზი სამადაშვილი, მარიამ ქადაგიძე, დავით გიგოლაშვილი, თამარ ტოკლიკიშვილი, ნიკოლოზ ბენაშვილი ღირსეულად აგრძელებენ ეკო-კლუბის ძველი წევრების საქმეს. წლების განმავლობაში მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისი ღონისძიებების ჩამონათვალი ასე გამოიყურება: სოფლის ტაძრების მონახულება, საახალწლო ნაძვისხეების დამზადება ნარჩენებისგან, მაკულატურის მოგროვება და მეორადი ქაღალდის მიღება, მეორად ქაღალდებზე შესრულებული ნახატების გამოფენა, ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საინფორმაციო შეხვედრები სკოლის საზოგადოებასთან, ბუკლეტების დამზადება, დედამიწის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში მომზადებული პროექტები -„დედამინა ჩვენი სახლია“, „გავუფრთხილდეთ დედამიწას ისიც გაგვიფრთხილდება“, სკოლის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება, ხე-მცენარეების დარგვა სკოლის ეზოში, საკუთარი სოფლის მფრინველთა მრავალფეროვნების შესწავლა, შეხვედრა სოფელში მცხოვრებ აქტიურ მეწარმეებთან და ა.შ.

ბოლო დროს განხორციელებული აქტივობებიდან ეკო-კლუბის წევრები გამოჰყოფენ შემდეგ ღონისძიებებს: „როგორ და რატომ უნდა დავზოგოთ ენერგია“, „შემოდგომის ნარჩენები“, რომელიც ითვალისწინებს კომპოსტის მომზადებას სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ბიო-პროდუქტების მომზადება, ეკოლოგიურად სუფთა სათამაშოები და ა.შ.



რაგომ ბიო პური?

ის, რამაც ჩვენი ყურადღება დაიმსახურა ეკო - კლუბის მიერ მომზადებული ბიო პურია, რომელიც ბავშვებმა საკუთარი ხელით, ბიო პროდუქტებისგან დაამზადეს. გაზეთ „შირაქთან“ საუბარში ეკო - კლუბ „კარბონატების“ ხელმძღვანელმა მანანა ბიკაშვილმა, კლუბის წევრებმა მარიამ ქადაგიძემ და თაკო ტოკლიკიშვილმა აღნიშნეს: „ჩვენი წინაპრები საფუარს ჭაჭისგან და სიმინდის ფქვილისგან აკეთებდნენ. ჩვენც ამ მეთოდით დავამზადეთ საფუარი და გამოვაცხვეთ პური. იდეა ღვინის დაწურვის პროცესისას გაჩნდა. ცნობილია, თითქმის ყველა ოჯახში იწურება ღვინო, ამიტომ გამოვიყენეთ არსებული ჭაჭა და შედეგმაც არ დააყოვნა“. კლუბის წევრმა ნიკოლოზ ბენაშვილმა, აღნიშნა, რომ „ყველა ის ღონისძიება, რომელიც ეკო კლუბის მიერ ხორციელდება, ერთგვარი კაპიტალია, რომელიც დაგროვებულია და გვსურს, ეს მომავალშიც აქტიურად გამოივიყენოთ. აქტივობებს მუდმივი სახე უნდა მივცეთ. ასეთია დასუფთავების აქციები, ნარჩენების დახარისხებისთვის საჭირო ურნების დადგმა, რომლებიც წინა პროექტებისგან დაგვხვდა. მომავალში გვსურს მაკულატურის მოგროვება, რომლისგანაც გავაგრძელებთ ქაღალდის გაკეთებას და დამატებით შევძლებთ სკოლისთვის ელექტროლაბორატორიის შეძენას. გვინდა გავაგრძელოთ ეს სახალისო და შემეცნებითი გზა“.

ხელმძღვანელმა **მანანა ბიკაშვილმა** აღნიშნა: „სამწუხაროა, მაგრამ როდესაც ძველი სკოლა დაიწვა, მასთან ერთად დაიწვა ნიადაგის შემადგენლობის საზომი ხელსაწყოც, რომლის გამოყენება ვერც კი მოვასწარით. ეს ხელსაწყო დაგვეხმარებოდა, ჩვენი სკოლის გარშემო არსებული ტერიტორიის შესწავლაში, რათა ეკო-კლუბის წევრებს და მოხალისეებს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების მოყვანის შესაძლებლობა ჰქონოდათ. მოსწავლეებს მიეცემოდათ ნიადაგზე დაკვირვების შესაძლებლობა. იმედი გვაქვს, კვლავ შევძლებთ ამ ხელსაწყოს შეძენას“.

რაგორ მოვზადდა მაკულატურისგან ქაღალდი?

ეკო-კლუბის წევრმა მარიამ ქადაგიძემ ქაღალდის შექმნის პროცესზე ისაუბრა: „დავინტერესდით, თუ როგორ უნდა გაგვეკეთებინა ქაღალდი მაკულატურისგან სკოლის და სახლის პირობებში. მოვიძიეთ ინტერნეტ სივრცეში სხვადასხვა მასალები, გავეცანით და შექმნის პროცესიც უმარტივესად წარიმართა. სულ რამდენიმე დღე დასჭირდა სკოლაში მოგროვებული მაკულატურის დამუშავებას, წყალში ამოვლებას, მის ერთიან მასად ქცევას და სპეციალურ ხელსაწყოში გაშრობას. ეს ძალიან მარტივი და ამავდროულად, საინტერესო პროცესია. მისი გაკეთება ყველას შეუძლია. გვინდა, ცნობიერების დონე ავამაღლოთ და მეტი ინფორმაცია გავავრცელოთ, რათა უფრო მეტი ადამიანი შემოგვიერთდეს და ჩაერთოს ჩვენს აქტივობებში“.

მათ თანამოაზრეები ნამდვილად გამოუჩნდათ. ამის ერთ-ერთი მაგალითი მეშვიდე კლასის მოსწავლე ნატალი ნატროშვილია, რომელიც ეკო - კლუბს სულ ცოტა ხნის წინ შეუერთდა. მან და მისმა კლასელებმა, სასკოლო საზოგადოებაში ცნობიერების დონის ამაღლების მიზნით ისაუბრეს ფოთლების დაწვის უარყოფით მხარეებზე, ყურძნის გადამუშავების შედეგად მიღებულ ნარჩენებზე, დაარიგეს ამ თემაზე შექმნილი ბუკლეტები. შეისწავლეს კომპოსტი და დაგეგმეს მის მოსამზადებლად საჭირო აქტივობები. ეკო-კლუბის წევრები, საგაკვეთილო პროცესში ასევე გაეცვნენ ყველის ამოყვანის ტექნოლოგიას. მომავალში გეგმავენ ბუნებრივი საყველებელისგან - მაჭიკისგან, საკუთარი ხელით მოამზადონ ბიო ყველი.

საიდან მოდის ინსპირაცია?

ეკო-კლუბის წევრები ამ ყველაფრისთვის საჭირო ინსპირაციას გარდა საგაკვეთილო პროცესისა, გარემოში არსებული პრობლემებიდანაც იღებენ. „იმის გამო, რომ არ ვიცით, როგორი შემადგენლობის საკვებს ვიღებთ, რა ინგრედიენტები შედის, რამდენად ჯანსაღია ესა თუ ის პროდუქტი, ამიტომ გადავწყვიტეთ ბიო პურისა და ყველის გაკეთება. ის მაინც გვეცოდინება და საკუთარი თვალით მაინც ვნახავთ, თუ რისგან და როგორ მზადდება ეს პროდუქტები. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის დამზადება ჩვენთვის პრიორიტეტი გახდა“ - აღნიშნავენ ეკო-კლუბში.

ქიმიის მასწავლებელი მანანა ბიკაშვილი და ბიოლოგიის მასწავლებელი ლაურა მაძღარაშვილი ერთობლივი ძალებით ხელმძღვანელობენ ეკო - კლუბ „კარბონატებს“. აქ ყველა ლიდერია, ყველა ერთობლივად იღებს გადაწყვეტილებას და ერთიანი ძალებით ცდილობენ საკუთარი საცხოვრებლის და სასწავლო გარემოს უკეთესობისკენ შეცვლას. მათი ასეთი მოხალისეობრივი საქმიანობა ხელს შეუწყობს ისეთი პლატფორმის მომზადებას, რომელიც სასკოლო საზოგადოებას უფრო მეტად გაუადვილებს გარემოში არსებულ იმ გამოწვევებთან გამკლავებას, რაც გარკვეულწილად აფერხებს და საფრთხეს უქმნის მათთვის უკეთესი მომავლის ფორმირებას.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

„ჩემი მიზანია, კარგად წარმოვაჩინო ჩვენი ქვეყნის პოზიცია“...

2025 წლის გაზაფხულზე, ნიუ იორკში, მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ ახალგაზრდულ კონფერენციაში მონაწილეობას დედოფლისწყაროელი ნიჭიერი და წარმატებული ახალგაზრდა მარიამ სამუკაშვილი მიიღებს. როგორც ის ამბობს, „ასეთი შესაძლებლობა გასულ წელსაც მომეცა, მას შემდეგ, რაც ჩემი მიზნები და ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მოგვარების ჩემეული ვერსია გავუზიარე. მაგრამ მაშინ ისე მოხდა, რომ არჩევანის წინაშე დავდექი და ამერიკის ნაცვლად ბავშვობიდან ჩემს საოცნებო ქალაქში - პარიზში წავედი კონფერენციაზე“.

2025 წელს კი, მეორე ოცნებასაც აიხდენს. გაზეთი „შირაქი“ დაუკავშირდა მარიამს და ჰკითხა, თუ **რას ეხება ეს კონფერენცია, ან რა გზის გავლა მოუწია მას ამ კონფერენციაზე მოსახვედრად?**

მარიამ სამუკაშვილი: – **Change the World** გაეროს მოდელირებაა, საერთაშორისო ფორუმი, რომელსაც ყოველწლიურად ესწრება 10000-ზე მეტი სტუდენტი მთელი მსოფლიოდან, რომლებიც განიხილავენ საერთაშორისო პოლიტიკური დღის წესრიგის ძირითადი საკითხებს. განსაკუთრებით იმ თემებს, რომლებიც ეხება მიმდინარე კონფლიქტებსა და დემოკრატიის გამოწვევებს. ფორუმი ყოველწლიურად იმართება ნიუ-იორკში, აბუ-დაბიში, დუბაიში, პარიზში, სინგაპურსა და რომში. სტუდენტები, პოლიტიკური ლიდერები და გეოპოლიტიკის ექსპერტები იკრიბებიან აქ ერთად, რათა განიხილონ მომავალი, ითანამშრომლონ და პრობლემების გადაჭრის გზები ერთად იპოვონ. მე შემოთავაზება მეილზე კონკრეტულად ნიუ იორკის ფორუმიდან მივიღე, რომელიც ძირითადად გაეროს შტაბბინაში ტარდება და, ხშირად, ამერიკის ყოფილი თუ მოქმედი პრეზიდენტებიც ესწრებიან ხოლმე. მაშინვე ვიფიქრე, რომ ასეთი შემოთავაზება ხელიდან არ უნდა გამეშვა. რეგისტრაციის შემდგომ დამიბარეს ონლაინ გასაუბრებაზე. მათ რამდენიმე ძირითადი კითხვა დამისვეს, რის მიხედვითად უნდა შეემოწმებინათ რამდენად მისაღები კანდიდატი ვიყავი ფორუმისთვის. კითხვები შეეხებოდა ჩემი ბავშვობის სურვილებს, რამდენად განვახორციელე ისინი რეალურ ცხოვრებაში, რას ვაკეთებ ახალი მიზნების მისაღწევად, რა წვლილის შეტანას ვაპირებ მომავალში ჩემი ცოდნით ქვეყნისა და მსოფლიოს თუნდაც მცირედი წინსვლისთვის, რამდენად ვფლობ ინფორმაციას მსოფლიო პოლიტიკის ძირითად საკითხებთან დაკავშირებით, რამდენად ტოლერანტული ვარ სხვადასხვა წარმომავლობის ადამიანების მიმართ... მთავარი შეკითხვა კი შეეხებოდა კონფლიქტების გადაჭრას და იმას, თუ რამდენად შესაძლებელია 21-ე საუკუნეში, როცა დიპლომატია უკვე საკმაოდ განვითარებულია, ომების თავიდან აცილება. რამდენიმე დღის შემდეგ დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ 15000-მდე მსურველიდან გამომარჩიეს რამდენიმე მათგანში და ფორუმზე დასწრების დასტურის გარდა, ორგანიზატორებმა დამიფინანსეს ნიუ იორკში გამგზავრებისა და მონაწილეობის ხარჯები, გამიხსნეს უფასო და ულიმიტო წვდომა გაეროსთან დაკავშირებით შექმნილ ელექტრონულ ბიბლიოთეკასთან და სრული დიპლომატიური მხარდაჭერა გამომიცხადეს. ფორუმი 2025 წლის 20-23 მარტს იმართება, ვაპირებ, აქტიურად ჩავერთო დიალოგებში, ჩემი აზრები გავუზიარო აუდიტორიას, სხვებისგან ახალი იდეები მივიღო და მაქსიმალურად კარგად წარმოვაჩინო ჩვენი ქვეყნის პოზიცია“.

ვულოცავთ მარიამს ამ შესაძლებლობას და წარმატებებს ვუსურვებთ. ბევრი ასეთი ნიჭიერი და განათლებული ახალგაზრდაა ჩვენი ქვეყნის განვითარებისა და საიმედო მომავლის გარანტი.

ინგა ჟიოლაშვილი

პრედიაბეტი – როგორც გამაფრთხილებელი ნიშანი

პრედიაბეტი დღეს ერთ-ერთი ყველაზე მზარდი პრობლემაა. ეს არის ადრეული გამაფრთხილებელი ნიშანი იმისა, რომ ადამიანს აქვს მეორე ტიპის დიაბეტის განვითარების რისკი. პრედიაბეტი ნიშნავს, რომ სისხლში შაქრის დონე ნორმაზე მაღალია, მაგრამ ჯერ არ არის საკმარისად მაღალი, რომ დიაბეტის დიაგნოსტირება მოხდეს. ის ხშირად ასოცირდება ინსულინის წინააღმდეგობასთან, როდესაც სხეული არ იყენებს ინსულინს ეფექტურად, რაც იწვევს სისხლში შაქრის დონის ამაღლებას. პრედიაბეტი გამაფრთხილებელი ნიშანია. ამ დიაგნოზის დადგენა არ ნიშნავს იმას, რომ გარანტირებულად გექნებათ ტიპი 2 დიაბეტი. რა იწვევს პრედიაბეტს, რატომ არის ის პრობლემა, როგორ ხდება მისი დიაგნოსტირება, რატომ არის სისხლში მაღალი შაქარის დონე მავნე და რა არის პრედიაბეტის მკურნალობის გზები - ამასთან დაკავშირებით გაზეთი „შირაქი“ ექიმ ენდოკრინოლოგს, **მარინა მეხრიშვილს** *ესაუბრა.*

-როგორ ხდება პრედიაბეტის დიაგნოსტიკა?

პრედიაბეტის დიაგნოსტირება დიაბეტის მსგავსად ხდება. თუ ადამიანი თვითდაკვირვებულია, აქცევს თავის ცხოვრებას ყურადღებას, წონას, ცხოვრების რიტმს, ფიზიკური დატვირთვის ხასიათს, ასაკთან მიმართებაში გენეტიკურ განწყობას, თვითონვე შეამჩნევს ცვლილებებს. მიუხედავად რაიმე კონკრეტული ჩივილის არარსებობისა, ადამიანმა წელიწადში რამდენჯერმე ზოგადი გამოკვლევები მაინც უნდა ჩაიტაროს, ჯანმრთელობის კულტურაც სწორედ ამას ნიშნავს. სწორედ შემთხვევითი გამოკვლევების დროს შეიძლება საყურადღებო რამ აღმოჩნდეს.მაგალითად, წონაში მატება პირდაპირაა მიბმული ინსულინის მგრძნობელობის დარღვევასთან. ინსულინი გამომუშავდება, გამოიყოფა, მაგრამ ჭარბი ცხიმის გამო ორგანიზმი უგრძნობი ხდება. რაოდენობრივად ინსულინი საკმარისია, მაგრამ ხარისხობრივად მისი მდგომარეობა იცვლება. ცხიმოვან ქსოვილში „ჩლუნგდება“ ეფექტი ამ ჰორმონების მიმღებლობის მიმართ. პრედიაბეტის დასადგენად, მცირე ჩივილის დროსაც კი, პაციენტს ანალიზის ჩატარებას ვურჩევთ. შეიძლება გვქონდეს შემთხვევები, სადაც მხოლოდ კვებითი რეჟიმის მოწესრიგებით შეიძლება სიტუაციის შემოტრიალება, რადგან კვების შეცვლით რეგულირდება შაქრის დონე. ყველაზე სწორი მიდგომაა კარგი საუზმე, შედარებით ნაკლები სადილი და მსუბუქი ვახშამი. დიაგნოსტიკისთვის, მთავარია გლიკოგენის განსაზღვრა სისხლში და შემდგომ წონის კონტროლი. თუკი ადამიანი ამჩნევს, რომ იკვებება სწორად და წონაში მაინც მატებაა, ფარისებრი ჯირკვლის პრობლემასთან გვაქვს საქმე. შედეგად, აუცილებლად უნდა გაკონტროლდეს გლუკოზა და გლიკოზირებული ჰემოგლობინი. ეს არის მონაცემი, რომელიც აფასებს სამი-ოთხი თვის განმავლობაში როგორ ხდება ჰემოგლობინის დაჟანგვა ჭარბი გლუკოზით. რთული ბიოქმიური გამოკვლევების დროს, ვაკეთებთ ანალიზს, რომელიც ადგენს უზმოზე ორგანიზმის მიერ გამომუშავებული გლუკოზის შეფარდებას სუფთა ინსულინთან. ამ თანაფარდობის დარღვევა მიანიშნებს, რომ ინსულინის გამოყოფა ვერ მისდევს გლუკოზის დონეს. ესეც ყოველთვის დაკავშირებულია ჭარბ წონასთან. შაქრის საზომი ხელსაწყოს - გლუკომეტრის არსებობამ, ბევრად გაამარტივა არამარტო პრედიაბეტის, არამედ დიაბეტის დიაგნოსტირება და პარალელურად, მართვაც. ეს არის კარგი საშუალება ადრეული დიაგნოსტიკისთვის და შესაბამისად პრევენციისთვისაც, რაც პროგრესის მაჩვენებელია. მაგრამ, ამან გამოიღო ცუდი შედეგიც. უმრავლესობამ არ იცის მისი სწორად მოხმარება.

კლინიკური მდგომარეობა	უზმოდ გლუკოზის დონე	პოსტპრანდიალური გლუკოზა#	HbA1c
ნორმა	< 5.6 მმოლ/ლ <100 მგ/დლ	< 7.8 მმოლ/ლ <140 მგ/დლ	< 5.7%
უზმოდ გლიკემიის დარღვევა	5.6-6.9 მმოლ/ლ 100-125 მგ/დლ		5.7-6.4%
გლუკოზისადმი ტოლერანტობის დარღვევა		7.8-11.0 მმოლ/ლ 140-199 მგ/დლ	5.7-6.4%
დიაბეტი	≥ 7.0 მმოლ/ლ ≥ 126 მგ/დლ	≥ 11.0 მმოლ/ლ ≥ 200 მგ/დლ	≥ 6.5%

-რატომ არის სისხლში მაღალი შაქარის დონე მავნე?

ზედმეტი რაოდენობის გლუკოზა, რომელიც არ მოიხმარება, მავნე ხდება თვითონ ორგანიზმისთვის. ასეთ დროს ბალანსი გლუკოზასა და ინსულინს შორის დარღვეულია. ჭარბი გლუკოზის მოხმარება არ შეუძლია ორგანიზმს, იმიტომ რომ „ბევრი საქმე დაეევალა“ და მუშაობისთვის არ აქვს ბევრი რესურსი. კუნთური მუშაობის გაზრდის ხარჯზე, ხდება ამ დაგროვილი ენერგიის დახარჯვა. სისხლში ჭარბი გლუკოზის რაონდენობა როდესაც ხვდება, მიმდინარეობს გაძლიერებული ჟანგვითი პროცესები, რაც საფრთხეს უქმნის ორგანიზმს. წარმოიქმნება აცეტონის მსგავსი პროდუქტები, რომელიც არღვევს უჯრედის ნორმალურ მოქმედებას. გლუკოზა რომელიც ენერგიის წყაროა, პირიქით, ხდება გლუკოზოტოქოსიურობის მიზეზი. მას უკვე აღარ აქვს ენერგეტიკული შინაარსი. ეს უნდა დარეგულირდეს, რომ გლუკოზა ინსულინის დახმარებით უჯრედში შევიდეს.

-რა იწვევს პრედიაბეტს?

უპირველეს მიზეზად, შეგვიძლია ფიზიკური ადინამია ანუ ფიზიკური აქტივობის არქონა დავასახელოთ. შეიძლება ეს იყოს ასაკობრივი, როდესაც იზღუდება მოძრაობა, მაგრამ ის ახალგაზრდა ასაკშიც შეინიშნება, იმ პირებში, ვისაც საოფისე ცხოვრების გამო დიდხანს უმოძრაოდ უწევს ყოფნა. სამწუხაროდ, თანამედროვე ყოფაში მოშლილია ფიზიკური აქტივობის კულტურა. მეორე, ესაა გასტრონომიული ფაქტორები ანუ არასწორი და პარალელურად არასწორი მიმართულებით ჭარბი კვება. ასევე, დაავადებები, რომლებიც მაპროვოცირებელი ხდება პრედიაბეტისთვის, სხვადასხვა მედიკამენტების მიღების ფონზე განვითარებული პრედიაბეტი და არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი - სტრესი. ინფორმაციული გადატვირთვა და ჭარბი ინფორმაციის მიღება უკვალოდ არ ქრება. ქრონიკული სტრესი ეს არის კორტიზოლის მაღალი დონე. კორტიზოლი არის სტრესის ჰორმონი, რომელიც მიბმულია გლუკოზის მოხმარების გაზრდასთან. ამ დროს არ გშია, მაგრამ გაქვს „მსუნაგობის განცდა“ და დაუფიქრებლად იღებ საკვებს. პაციენტის ინფორმირება და განსწავლა ყველაფერს თავის ადგილზე აყენებს. თუ არ ჩამოყალიბდა კულტურა, რომ ადამიანებმა ჩივილების აღმოჩენისთანავე მიაკითხონ ექიმს. ექიმი გაცილებით მარტივად დააყენებს მას სწორ გზაზე და შეიძლება მედიკამენტოზური მკურნალობა არც გახდეს საჭირო. ამის გააზრებაა ყველაზე მთავარი.

-რა არის პრედიაბეტის მკურნალობის გზები?

პრედიაბეტის პრობლემის მოგვარება კვების მოწესრიგებით იწყება. ბალანსირებული, სწორი კვება აუცილებელია. კვებაში ცილოვანი და ბოსტნეული საკვები სჯობს მეტი იყოს, ვიდრე ნახშირწყლები. არის პროდუქტები, რომლებიც შაქრის დონეს მაღლა სწევს და არის პროდუქტები, რომლებიც მის დონეს არსებითად არ ცვლის. პაციენტებს ყოველთვის ვთავაზობ კვების დაბალანსებულ მენიუს, რომელიც გამოირჩევა მრავალფეროვნებით და მათ საკუთარი სურვილისამებრ შეუძლიათ აირჩიონ ის პროდუქტები, რომლებიც ზიანს არ მიაყენებენ ორგანიზმს. პრინციპი ისაა, რომ ადამიანს კვების რეჟიმის, ფიზიკური დატვირთვის და სამუშაო რეჟიმის გათვალისწინებით ინდივიდუალურად შეუდგინო მასზე მორგებული მენიუ.

დღეს ფარმაცია მდიდარია სხვადასხვა მედიკამენტებით, მაგრამ მედიკამენტებამდე სანამ მივა ექიმი, მან კვებით და ფიზიკური აქტივობით უნდა სცადოს პრობლემის მოგვარება. მედიკამენტებში გვაქვს გახანგრძლივებული მოქმედების სიოფორი, სიოფორი იქს ელი, რომელიც უნდა აღინიშნოს, რომ უშუალოდ არ იწვევს ინსულინის გამომუშავებას. გვაქვს გარკვეული რესურსი ინსულინისა, რომელსაც პანკრეასი გამოიმუშავებს. 5 ჰორმონია, რომელიც შაქრის დონის მატებას იწვევს, მაგრამ ერთადერთია ინსულინი, რომელიც მას დაბლა წევს. მას ძალიან რთული ფუნქცია აქვს - იბრძოლოს ხუთი ჰორმონის წინააღმდეგ. მისი რესურსი მალე არ უნდათ გამოვლიოთ. თუ ჩვენ მივცემთ მას ისეთ პროდუქტს, რომ გამოიმუშავოს მეტი რაოდენობა, დადგება დრო და ინსულინის გამომუშავების რესურსი ამოიწურება. ჩვენ ვეხმარებით აუცილებელ სიტუაციებში ინსულინის გამოძევებას, თუმცა, როდესაც მშვიდ პერიოდში ვართ, აუცილებლად უნდა დავზოგოთ ინსულინის რესურსი. სწორედ სიოფორი იქსელი უწყობს ხელს, 24 საათის განმავლობაში იმ ინსულინის საკმარისად ათვისებას, რაც სისხლს გააჩნია და ხარისხობრივად ცვლის მისი გამოყენების ეფექტურობას. ის მეტაბოლური სინდრომების დროსაც ეფექტურია, როდესაც არის ჭარბი წონა, მაღალი ლიპიდები და არტერიული წნევა. ორგანიზმში არსებული ინსულინის რესურსის მაქსიმალური ეფექტურობით გამოყენება ხდება და ამას მოჰყვება თანდათანობით წონაში კლება. რაც უფრო ნაკლებია წონა, მით უფრო ნაკლები ინსულინი გამოიყოფა.

საბოლოოდ, ყველაზე კარგ შედეგს, მაინც კვება და ფიზიკური აქტივობა იძლევა. ეს ორი მთავარი პრინციპია უმნიშვნელოვანესი. ამავდროულად, კონტროლი, თვალყურის დევნება. თუ ამ მიდგომამ არასასურველი რიცხვები აჩვენა, პაციენტს ვურჩევთ 10 დღეში, ორ კვირაში ერთხელ მაინც მდგომარეობის გადაკონტროლებას. კვება, ფიზიკური აქტივობა და კონტროლი.

აუცილებელია ასევე, ამ მიმართულებით ბავშვების აღზრდა ადრეული ასაკიდან. აუცილებლად მივაჩვიოთ ბავშვები ბოსტნეულის, ხილის მირთმევას. ძალიან მავნე და საშიშია ბავშვის ორგანიზმისთვის აგრესიული ტკბილეულის მიღება. ბავშვი იმას იღებს, რასაც სთავაზობენ. ამიტომაც საჭიროა ადრეული ბავშვობიდან ჩამოყალიბდეს ეს ჩვევები.

ინფორმაციისთვის:

****პრედიაბეტით დაავადებულთა რიცხვი სტაბილურად იზრდება, განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა აშშ, ძირითადად ცხოვრების სტილის ფაქტორების გამო, როგორიცაა არასწორი კვება, ვარჯიშის ნაკლებობა და სიმსუქნის მაჩვენებლების ზრდა. შეერთებულ შტატებში, დადგენილია, რომ ყოველი 3 ზრდასრულიდან დაახლოებით ერთს აქვს პრედიაბეტი და ბევრმა მათგანმა არც კი იცის ეს.***

****პროგრესის რისკი: ჩარევის გარეშე, პრედიაბეტი შეიძლება გადავიდეს ტიპი 2 დიაბეტში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ჯანმრთელობის სერიოზული გართულებები, როგორიცაა გულის დაავადება, თირკმლის, ნერვის და ზიანება და მხედველობის პრობლემები.***

****მდუმარე მდგომარეობა: პრედიაბეტს ხშირად არ აქვს აშკარა სიმპტომები, ამიტომ ადამიანები შეიძლება ვერ აცნობიერებდნენ, რომ აქვთ ეს. ეს აუცილებელს ხდის ადრეულ გამოვლენას და ცხოვრების წესის შეცვლას.***

****ზემოქმედება ჯანმრთელობაზე: ტიპი 2 დიაბეტის განვითარების რისკის გარდა, პრედიაბეტის მქონე ადამიანებს შეიძლება ასევე ჰქონდეთ გულის დაავადების, ინსულტის და სხვა მეტაბოლური პრობლემების მაღალი რისკი.***

ამ რისკებიდან გამომდინარე, ჯანდაცვის ორგანიზაცია ხაზს უსვამს პრედიაბეტის სკრინინგის მნიშვნელობას, განსაკუთრებით ჭარბი წონის მქონე ადამიანებისთვის, 45 წელზე უფროსი ასაკის ან დიაბეტის ოჯახური ისტორიის მქონე ადამიანებისთვის. ადრეული დიაგნოსტირების შემთხვევაში, პრედიაბეტის მართვა შესაძლებელია და მისი პროგრესირება ტიპი 2 დიაბეტამდე ხშირად შეიძლება თავიდან აიცილოს ან გადაიდოს.

მოუსმინეთ თქვენს ორგანიზმს, ის თქვენი საუკეთესო მეგობარია!

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

ომი, პოსტტრავმული სტრესი და დაავადებები

ნებისმიერ ომს თან ახლავს ძალადობა, ნგრევა, ფიზიკური და ფსიქიკური ტრავმები. ომის დროს ყოველთვის იქმნება ტერიტორიალური ზონები, სადაც არ მოქმედებს არავის იურისდიქცია, სადაც ანარქია, ძალმომრეობა და ბოროტება ბობოქრობს.

მოსახლეობა, რომელსაც გარკვეული დროით საბრძოლო მოქმედების ზონაში მოუწია ყოფნა, განიცდის მრავლობითი სტრესორების ზემოქმედებას, რის გამოც ზოგიერთს ნერვული ჩავარდნა უვითარდება, ზოგიერთები კი პირიქით, იქედან უფრო გაკაჟებული და გამოწრთობილი გამოდიან.უნდა ვივარაუდოთ, რომ უკანასკნელები უმცირესობას შეადგენენ. მათ რიცხვში შედიან ე. წ. „ბოევიკებიც“, რომლებსაც ომში ყოფნა ერთგვარად ბუნებრივ მოთხოვნილებადაც კი გადაქცევიათ.

მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა კი განიცდის ჯანმრთელობისათვის მეტად არასასურველ ზემოქმედებას. მათ უვითარდებათ ტრავმისშემდგომი (პოსტტრავმატული) სტრესის სინდრომი, რომელიც ლიტერატურაში პტს-ად არის ცნობილი.

პოსტტრავმატული სტრესი შედარებით ახალი ტერმინია. იგი ჯერ კიდევ ნოზოლოგიურად ჩამოყალიბების პრიცესშია და შესაბამისად, ნაკლებად შესწავლილი. მისი ისტორია 70-ანი წლებიდან იწყება და უკავშირდება ე.წ. „ვიეტნამის სინდრომს“, იგი განუვითარდათ ვიეტნამის ომიდან დაბრუნებულ ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეებს და გამოიხატა მეტად მძიმე ნევროზულ მდგომარეობაში, რომელიც ვლინდებოდა: შფოთვებში, აკვიატებულ იდეებში, ზოგად სისუსტეში, დეპრესიებში. მეტად გახშირდა მათ შორის თვითმკვლელობებიც და ანტისაზოგადოებრივი ქმედებებიც. ბალანსში კი სახეზე იყო პიროვნების სოციალური გაუფასურება, პრაქტიკულად მისი დაინვალიდება და შრომის უნარის მთლიანად და ერთი შეხედვით, უმიზეზოდ დაკარგვა, უმიზეზოდ იმიტომ, რომ ორგანიზმის სასიცოცხლო სისტემები თითქოსდა ნორმალურად ფუნქციონირებდნენ - პიროვნება კი პრაქტიკულად მწყობრიდან გამოსული იყო. განვითარდა პათოლოგია, რომელიც უპირველესად ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციას მოითხოვდა, რის გამოც ამერიკაში იძულებული გახდნენ, შეექმნათ მრავალპროფილიანი ანტისტრესული სამსახური, რომლის ფინანსირება ასეულ მილიონობით დოლარი დაჯდა.

პტს-ი განიხილება, როგორც ნევროზული მდგომარეობა, ნევროზი კი ცენტრალური ნერვული სისტემის, ძირითადად თავის ტვინის ქერქის ფუნქციონალური დაავადებაა. აქვე საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ საქმე გვაქვს სტრესთან, რომლის დროსაც ადგილი აქვს მეტად მწვავედ რეაგირებას ენდოკრინული სისტემის, ძირითადად, ჰიპოფიზ თირკმლისზედა ჯირკვლის მხრიდან სისხლში ისეთი ჰორმონების ჭარბად გამოსროლას, როგორიცაა ადრენალინი, ნორადრენალინი, კორტიზონი. შეიძლება გამოიწვიოს არსებული ქრონიკული დაავადების გამწვავება, ან ახლის ჩამოყალიბება, ანუ განვითარდეს პტს-ის სომატიზაცია, ფუნქციონალური მდგომარეობის ორგანულში- შინაგან დაავადებაში გადაზრდა.

ლტოლვილთა შორის პოსტტრავმატული სტრესის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა ლტოლვილთა შორის ამბოლატორიულ და სტაციონარულ დაავადებათა სპექტრი. სულ გაანალიზდა 7 ათასამდე მეტი სამედიცინო ბარათი. მოპოვებული მასალით ძნელია რაიმე არსებითი დასკვნის გაკეთება, მაგრამ მაინც იკვეთება ტენდენცია ლტოლვილთა შორის ე.წ. „ადაპტაციის დაავადებების სიჭარბისა. ესენი არიან: გულ – სისხლძარღვოვანი, (გულის იშემიური დაავადება, ჰიპერტონიული დაავადება), კუჭ-ნაწლავის(წყლულოვანი დაავადება,ჰიპერაციდული გასტრიტები), იმუნური სისტემის (ალერგიები, პოლიართრიტები, ბრონქიალური ასთმა) დაავადებები და ნევროზები. მათმა ხვედრითმა წილმა მოზრდილებში 7 პროცენტს გადააჭარბა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ უახლოეს წლებში მოსალოდნელია მათი შესამჩნევად მატება, აუცილებელი ხდება გარკვეული პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება. მით უმეტეს, რომ წინ გვიდევს ლტოლვილთა უკან დაბრუნების შემდეგ წარმოქმნილი „რეადაპტაციის“ პრობლემები, რომელიც არანაკლებ მტკივნეულია.

ჩვენი აზრით, საჭიროა ქმედითუნარიანი ანტისტრესული სამსახურის ჩამოყალიბება, რომლის მიზანი იქნება პოსტტრავმული სტრესის ფსიქოლოგიური, სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაცია. სანყის ეტაპზე ჩატარებულმა ფსიქოთერაპიულმა სეანსებმა შეიძლება თავიდან აგვაცილოს პტს-ის სომატიზაცია-ანუ მის შინაგან დაავადებაში გადაზრდა, რაც მომავალში მოსახლეობის მოსალოდნელი მზარდი ინვალიდიზაციის და სიკვდილიანობის პროცენტის შესამჩნევად შემცირების ტოლფასი იქნება.

ფსიქოლოგი
ბესიკ გიგოლაშვილი

სურსათის უვნებლობის ინსპექტირება დედოფლისწყაროში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მდებარე სავაჭრო ობიექტებისა და საწარმოების შემოწმების ანგარიშს აქვეყნებს სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტირების დეპარტამენტი. ანგარიშში მიმდინარე წლის მესამე კვარტლის შედეგებია მოცემული, რომელიც ივლისი, აგვისტო, სექტემბრის მდგომარეობას ასახავს. როგორც სააგენტო იტყობინება, ქალაქ დედოფლისწყაროში შემოწმდა საწარმოო ობიექტები, რომელთა შორისაა მსხვილი ობიექტები და ასევე, დედოფლისწყაროს სათნოების სახლი, სადაც 170 სოციალურად დაუცველი უფასო კვებით სარგებლობს.

4 ივლისს ინსპექტირება განხორციელდა დედოფლისწყაროს სოფელ გამარჯვებაში, ხორცის მწარმოებელ კომპანიაში **„ტრანსკომერსი“**, სპეციალისტების შემოწმების შედეგად საწარმოში არაკრიტიკული შეუსაბამობა არ დაფიქსირებულა. საწარმო სრულ შესაბამისობაში ამზადებს პროდუქტს. „ტრანსკომერსი“ გამარჯვებაში 2014 წლიდან მოქმედებს.

18 ივლისს არაგეგმიური ინსპექტირება განხორციელდა დედოფლისწყაროში, ჰერეთის მეორე შესახვევი №6-ში მოქმედ რძის თერმული დამუშავების საწარმოში **„ლეანკა“**. ინსპექტირების ჯგუფმა აქ არაკრიტიკული შეუსაბამობები გამოავლინა.

30 ივლისს არაგეგმიური ინსპექტირება შედგა ხორცის რეალიზაციის ობიექტზე, რომელიც რეგისტრირებულია სოფელ არბოშიკში, დარღვევა კი აღირიცხა ფაქტიურ მისამართზე წნორი, თავისუფლების №1. დაფიქსირდა არაკრიტიკული შეუსაბამობა და ასევე ხორცის რეალიზაცია ჯანმრთელობის ნიშანდების გარეშე.

21 აგვისტოს გეგმიური ინსპექტირება განხორციელდა ასევე სოფელ გამარჯვებაში მოქმედ ხორცპროდუქტების და მზა საკვების კომპანიაში **„ნაციონალური დელიკატესი“**. ინსპექტირების შედეგად არაკრიტიკული შეუსაბამობებიც არ გამოვლენილა და სურსათის უვნებლობის სპეციალისტებს შენიშვნები არ ჰქონიათ. მზა კერძების წარმოება დედოფლისწყაროში 2017 წლიდან ფუნქციონირებს და რამდენიმე სახის ტრადიციულ კერძს უშვებს სახელწოდებით „სადილი“, რომელიც სხვადასხვა ქსელურ მარკეტებში იყიდება. მათი პროდუქციით მარაგდება სასაზღვრო პოლიციაც.

10 სექტემბერს გეგმიური ინსპექტირება განხორციელდა დედოფლისწყაროს სათნოების სახლში. არც აქ დაფიქსირებულა არაკრიტიკული შენიშვნები. სათნოების სახლის დირექტორი **მარინა ტოკლიკიშვილი** გაზეთ „შირაქს“ ეუბნება, რომ ეს უკვე ზედიზედ მეორე შემთხვევაა, როცა სურსათის სააგენტოს მათთვის შენიშვნა არ მიუცია.

„შეამოწმეს მაცივრები, ტემპერატურა, პროდუქტის დაფასოება, შენახვა, ვადების ეტიკეტირება. სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. ყველაზე მტავარია პროდუქტის შენახვის პირობები. ასევე მაცივრიდან გამოსვლისა და გალღობის მეთოდები. გაეცვნენ მზარეულისა და მისი დამხმარის მუშაობას, როგორ ხდება ჭურჭლის სტერილიზაცია. შეისწავლეს დამლაგებლის მუშაობა. ე.წ. „ჰასპის“ სტანდარტი დავნერგეთ ორი წლის წინ და ამ აღიარებული მეთოდებით ვმუშაობთ, ვავსებთ საჭირო დოკუმენტაციას. სურსათის უვნებლობის კახეთის რეგიონული ჯგუფი წელიწადში რამდენჯერმე გვამოწმებს, ასე მოულოდნელად მოდიან და ვითარებას ეცნობიან. წინა შემოწმების დროსაც არ დაფიქსირებულა პატარა შენიშვნებიც კი. როცა გვაძლევენ მითითებებს, მოცემულ დროში გამოვასწორებთ და შემდეგ კიდევ გვამოწმებენ ხოლმე. ამჟამად ყველა სტანდარტის დაცვით ვმუშაობთ“ — აღნიშნავს დედოფლისწყაროს სათნოების სახლის დირექტორი.

10 სექტემბერს ასევე გეგმიური შემოწმება ჩატარდა ქალაქ დედოფლისწყაროში, ნიკორციხის ქუჩაზე მდებარე ცხოველთა სასაკლაოში **„ჩვენი ფერმა“**, არაკრიტიკული შეუსაბამობა დაფიქსირდა მათი ფაქტიური რეალიზაციის მისამართზე სოფელ გურჯაანში. მეწარმეს მიეცა ვადა დარღვევების აღმოსაფხვრელად.

„რძის ქალაქი“

16 სექტემბერს გეგმიური ინსპექტირება შედგა საწარმოში **„ძიზიყის წარმოება“**, რომელიც ქალაქ დედოფლისწყაროში, 1 მაისის ქ №39-ში მდებარეობს. ნედლი რძის თერმული დამუშავების საწარმოში დაფიქსირდა მცირე, არაკრიტიკული შეუსაბამობები, რომლებიც შესაბამის ვადაში აღმოფხვრა.

16 სექტემბერს სოფელ სამრეკლოში გეგმიური ინსპექტირებისას არაკრიტიკული შეუსაბამობები გამოვლინდა ნედლი რძის საწარმოშიც.

ამავე დღეს გეგმიური ინსპექტირება განხორციელდა ქალაქ დედოფლისწყაროში ნიკორციხის 10-ში მოქმედ ერთ-ერთ საწარმოში **„რძის ქალაქი“**. ინსპექტორებმა მოდებაძეების საწარმოში არაკრიტიკული შეუსაბამობა აღმოაჩინეს და რეკომენდაციით მიმართეს. „რძის ქალაქში“ გაზეთ „შირაქს“ უთხრეს, რომ შენიშვნა კოსმეტიკურ სამუშაოს უკავშირდებოდა, რომელიც მალევე აღმოფხვრეს და მათი მუშაობა არ შეფერხებულა.

„არაკრიტიკული შენიშვნა ჰქონდათ სამაცივრე ოთახში კედლის შეღებვასთან დაკავშირებით, რომელიც შეღებილი იყო, მაგრამ კლიმატის გამო ერთი კედელი ხელახლა საჭიროებდა კოსმეტიკურ სამუშაოებს. მათი მითითება უკვე შესრულდა, სხვა შენიშვნა არ ყოფილა“ — ამბობს „რძის ქალაქის“ მენეჯერი **თამარ მოდებაძე**.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტორები საწარმოებისა და სავაჭრო ობიექტების ინსპექტირებას კვლავაც განაგრძობენ, კვარტალში ერთხელ კი მოკვლევის შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას აქვეყნებენ.

ილია მარტყოფლიშვილი

ჩვენ, სახლი და ბაქტერიები

სახლი არის ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების მთავარი სივრცე, სადაც ვცხოვრობთ, ვისვენებთ და ხშირად ვმუშაობთ კიდეც. თუმცა, სახლი მხოლოდ ჩვენი საცხოვრებელი არ არის — ის ერთგვარი მიკროსამყაროა, სადაც უამრავი მიკროორგანიზმი, მათ შორის ბაქტერიები, თანაცხოვრობს ჩვენთან ერთად. ეს ბაქტერიები არა მხოლოდ ჩვენი გარემოს, არამედ ჩვენი სხეულის ბუნებრივი ნაწილია და ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ როგორც ჩვენს ჯანმრთელობაზე, ისე დაავადებების წარმოშობაში.

ჩვენი საცხოვრებელი გარემო ბაქტერიების მრავალფეროვნების მიხედვით შეიძლება განსხვავდებოდეს. სახლის ჰაერი, ავეჯი, იატაკი, სამზარეულოს ზედაპირები და აბაზანა ხშირად მიკროორგანიზმების გავრცელების ძირითადი ადგილებია. მაგალითად, სამზარეულოში და აბაზანაში ტენიანობა და თბილი ტემპერატურა ქმნის იდეალურ პირობებს ბაქტერიების ზრდისთვის. ხშირ შემთხვევაში, ჩვენივე აქტივობებით — კერძების მომზადებით, დასუფთავებით ან ვენტილაციის ნაკლებობით — ხელს ვუწყობთ მათი რაოდენობის მატებას.

საინტერესოა ისიც, რომ ჩვენი სხეულიდან გადმოსული ბაქტერიები მნიშვნელოვნად აყალიბებს სახლის მიკრობიომს. მაგალითად, ჩვენი კანის, თმისა და ამონასუნთქი ბაქტერიები ხშირ შემთხვევაში საცხოვრებელი სივრცის სხვადასხვა ზედაპირზე გადადის და იქ „ბინადრობს“.

ბაქტერიების დადებითი და უარყოფითი მხარეები

ბაქტერიების უმეტესობა სასარგებლოა ან უვნებელი. ისინი მონაწილეობენ ორგანული მასალის დაშლაში, ხელს უწყობენ ბუნებრივ ეკოსისტემებს და იცავენ ჩვენს კანს პათოგენებისგან. სახლში არსებული ზოგიერთი ბაქტერია ასევე ეხმარება ჩვენს იმუნურ სისტემას გაძლიერებაში და გარემოს ბუნებრივ ბალანსის შენარჩუნებაში.

მეორეს მხრივ, ზოგიერთი ბაქტერია პოტენციურად საშიშია და შეიძლება დაავადებების გამომწვევი იყოს. მაგალითად, Escherichia coli ან Salmonella შესაძლოა საკვების მეშვეობით გავრცელდეს და მოწამვლას იწვევდეს. ასევე, აბაზანაში ან კლიმატური მოწყობილობების ფილტრებში არსებული ბაქტერიები, როგორიცაა Legionella, საშიშია სასუნთქი სისტემისთვის.

როგორ გაკაკონტროლოთ ბაქტერიები სახლში?

სახლის ჰიგიენა და სისუფთავის შენარჩუნება აუცილებელია ბაქტერიების გავრცელების თავიდან ასაცილებლად. გთავაზობთ რამდენიმე პრაქტიკულ ნაბიჯს ბაქტერიებთან საბრძოლველად:

1. დასუფთავება და დეზინფექცია: რეგულარული დასუფთავება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილებში, როგორიცაა სამზარეულო და აბაზანა, ამცირებს ბაქტერიების რაოდენობას.

2. ვენტილაცია: ჰაერის ცირკულაცია ხელს უშლის ბაქტერიების დაგროვებას და ტენიანობის ზრდას.

3. სამზარეულოს სისუფთავე: საკვების მომზადების შემდეგ ზედაპირების დეზინფექცია და ნარჩენების დროული გადაყრა მნიშვნელოვანია.

4. ტანსაცმლის და საწოლის ნივთების რეგულარული რეცხვა: ეს ამცირებს ჩვენს სხეულიდან გადასული ბაქტერიების დაგროვებას.

დასკვნა

სახლი და ბაქტერიები მუდმივად ურთიერთქმედებენ. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მიკრობი შეიძლება საფრთხეს წარმოადგენდეს, მათი უმეტესობა ჩვენი გარემოსა და ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. მთავარი ამოცანა არის მათი ბალანსის დაცვა — არ უნდა ვეცადოთ სტერილური გარემოს შექმნა, რადგან ეს იმუნური სისტემის დასუსტებას გამოიწვევს, მაგრამ აუცილებელია ჰიგიენის ელემენტარული ნორმების დაცვა, რაც ჩვენს და ჩვენი საცხოვრებელი გარემოს უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

სახლში ბაქტერიების ყველაზე მეტი კონცენტრაცია ხშირ შემთხვევაში ბინადრობს ისეთ ადგილებში, სადაც ტენი და საკვები ნივთიერებები ადვილად გროვდება. ასეთი ადგილებია სამზარეულოს ნიჟარა, მაცივრის სახელურები, საჭრელი დაფები და აბაზანის ტერიტორია.

სამზარეულო ერთ-ერთი ყველაზე დიდი წყაროა ბაქტერიებისთვის, რადგან იქ სითბო, ტენი და საკვების ნარჩენები ქმნიან იდეალურ გარემოს მათი გამრავლებისთვის. ნიჟარაში ხშირად გროვდება საჭმლის ნარჩენები და წყლის ნალექი, რაც ხელს უწყობს ისეთი პათოგენების გავრცელებას, როგორიცაა სალმონელა და ეშერიხია კოლი. საჭრელი დაფები და სამზარეულოს ღრუბლები ბაქტერიების გამრავლების დამატებითი კერაა.

აბაზანა კიდევ ერთი მაღალი რისკის ზონაა, განსაკუთრებით ტუალეტის ნიჟარა და შხაპის საფარი, რადგან იქ მაღალი ტენიანობა ხელს უწყობს ბაქტერიებისა და ობის ზრდას.

დასუფთავებისა და ჰიგიენის რეგულარული დაცვა (მაგ. ნიჟარებისა და საჭრელი დაფების დეზინფექცია, სამზარეულოს ღრუბლების ხშირი შეცვლა) ამცირებს ბაქტერიების გავრცელების რისკს და ხელს უწყობს ჯანსაღი გარემოს შენარჩუნებას.

მოამზადა
ელზა ხარაშვილმა

უშუს შენობის რემონტი დაიწყება

დედოფლისწყაროში უშუ-ს გუნდის შენობის რეაბილიტაცია იწყება. დედოფლისწყაროს მერიამ უკვე გამოაცხადა ტენდერი, რომლის შედეგების მიხედვითაც სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტირებას გურჯაანში მოქმედი შპს „ალდაგინი“ შეასრულებს.

დაარსების დღიდან დედოფლისწყაროს უშუს გუნდი მიტოვებულ შენობაში, ნანგრევებში ვარჯიშობს. სპორტსმენებს წლების მანძილზე არ აქვთ შესაბამისი პირობები, თუმცა სავარჯიშო სივრცის არარსებობის გამო იძულებულნი იყვნენ თავი ძველი შენობისთვის შეეფარებინათ. სავარჯიშო ინვენტარი შემოწირულობებით შეიძინეს და სივრცე საკუთარი ხელით მოაწყეს. შენობა ავარიულია, იატაკი, კედლები და ჭერი დაუყოვნებლივ შეკეთებას საჭიროებს.

სარემონტო სამუშაოებისთვის საჭირო პროექტის შესადგენად 6 700 ლარი იყო გათვალისწინებული, თუმცა ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ დაპროექტების სამუშაოების შესრულების ვალდებულება 6 600 ლარად აიღო. შესაბამისი ხელშეკრულება 19 ნოემბერს უკვე გაფორმდა. კომპანიის დირექტორის, რამაზ გიორგაძის განმარტებით, დაპროექტებისთვის მათ 20 დღიანი ვადა აქვთ. პროექტის შესრულების შემდეგ კი მერია ახალ ტენდერს გამოაცხადებს, რათა სარემონტო სამუშაოების მწარმოებელი კომპანია გამოავლინოს.

წინასწარი ინფორმაციით, სავარაუდოდ, შენობის რეაბილიტაციას 200 000 ლარამდე უნდა მოხმარდეს. იგეგმება კარ-ფანჯრების შეცვლა, გადახურვა, შიდა და გარე კედლების შელესვა-შეღებვა. დოკუმენტების თანახმად, უნდა გაკეთდეს ცენტრალური გათბობა და კანალიზაცია. ამას გარდა, დეფექტური აქტის მიხედვით 90 მეტრზე ეზო შემოიღობება, მოეწყობა ბეტონის მოედანი.

უშუს გუნდში იმ რთულ მდგომარეობაზე საუბრობენ, რაც ძველ შენობას აქვს და სადაც სპორტსმენებს წლების მანძილზე უწევთ მომზადება.

„ამ შენობას სახურავი თითქმის არ აქვს, ამის გამო წვიმიან ამინდში თითქმის ვერ ვვარჯიშობთ. ხშირად ისეთი მდგომარეობაა იატაკზე ჭურჭელს შევუდგამთ ხოლმე და წყალს ასე ვაკავებთ, ყველაფერი სველდება და მუდმივი ნესტია. როგორც ვვარაუდობთ, სამუშაოები გაზაფხულზე უნდა დაიწყოს. ძალიან კარგი საქმე იქნება და მოუთმენლად ველოდებით. ამ დარბაზის კეთილმოწყობა ჩვენი და ჩვენი სპორტსმენების დიდი ხნის ოცნებაა“ — ამბობს ლუკა პოპიაშვილი.

მანამდე ეს შენობა მუნიციპალიტეტს არ ეკუთვნოდა, რის გამოც სარეაბილიტაციო სამუშაოების ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსება ვერ მოხერხდა. გასულ წელს შენობა მუნიციპალიტეტს გადაეცა და მაშინვე ითქვა, რომ დარბაზის კეთილმოწყობა მოხდებოდა.

ილია მარტყოფლიშვილი

მეორე მსოფლიო ომში დაკარგული დედოფლისწყაროელები

საარქივო დოკუმენტებში „შირაქმა“ ბევრ საინტერესო დეტალს მიაგნო

საქველმოქმედო ფონდი „დაბრუნება“ თითქმის ყოველდღიურად აქვეყნებს გასულ საუკუნეში საზღვარგარეთ საომარ მოქმედებებში დაღუპული და დაკარგული ქართველების შესახებ ცნობებს. მიმდინარე წლის 9 მაისს სწორედ ამ ფონდმა გადმოასვენა არხილოსკალოში გმირის ცხედარი. მათივე მუშაობის შედეგად დადგინდა კიდევ რამდენიმე დედოფლისწყაროელი მებრძოლის საფლავის ადგილსამყოფელი. მოკვლეულია ისეთი მოქალაქეების დოკუმენტებიც, რომელთა საფლავები ისევ უცნობია, თუმცა სიებში მათი მონაცემები მაინც დაცულია. ქართული ფონდი საძიებო სამუშაოებს უცხოელი კოლეგების ჩართულობით რამდენიმე ქვეყანაში ახორციელებს და ცდილობს დაკარგული ნეშტები შთამომავლებს დაუბრუნოს.

რუსეთში, სტანიცა ზელუჩინსკაიაში დაკრძალულია **სოფელ მირზაანის მკვიდრი უმცროსი ლეიტენანტი ტერაშვილი (ან ტურაშვილი) შალვა სიმონის ძე**, დაბადებული 1917 წელს. მისი ცხედარი გადმოსვენებულია მარუხის უღელტეხილიდან.

უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება 150-ე მსროლელ დივიზიაში მებრძოლი **სეხნიაშვილი კოტე დათიკოს ძე**, რომელიც სავარაუდოდ 1942 წლის მარტი-მაისის პერიოდში დაიღუპა. დოკუმენტაციის თანახმად ის გარდაცვლილია უკრაინაში, დონეცკის ოლქის სლავიანსკის რაიონში წარმოებული ბრძოლების შედეგად.

დაკრძალვის ადგილი ისევ უცნობია 242-ე სამთო მსროლელი დივიზიის შემადგენლობაში მებრძოლი ქართველებისა, რომლებიც კავკასიონის მისადგომებთან და უღელტეხილებზე დაიღუპნენ. მათ შორისაა **მესტიაშვილი დიმიტრი ივანეს ძე**, დაბადებული 1919 წელს, წითელწყარო, სოფ არბოშიკი. გარდაიცვალა 05.02.1943 წ. ამავე დღეს დაეცა **ოჯინაშვილი** (გვარი სწორად არ იკითხება) **კირილე ადამის ძე**, დაბადებული 1903 წელს წითელწყაროს რაიონის სოფელი ზემო ქედი. ასევე, **დათუკიშვილი ვასილ ივანეს ძე**, დაბადებული 1899 წელს, წითელწყაროს სოფელ არბოშიკში, გარდაიცვალა 12.02.1943 წ, **ბუჩუკური ალექსანდრე გიორგის ძე,** დაბადებული 1900 წელს წითელწყაროს სოფელი არხილოსკალო, გარდაიცვალა 06.02.1943 წ.

392-ე ქართული მსროლელთა დივიზია 1941 წელს ჩამოყალიბდა და დისლოცირებული იყო ქ. გორში. 42 წლის ივლისში მიიღეს ბრძანებაჩრდილო კავკასიის ფრონტის მე-9 არმიის შემადგენლობაში თავდაცვის ხაზი დაეკავებინათ მდინარეების თერგისა და ურუხის გასწვრივ. ისინი ახორციელებდნენ ბრძოლებს კავკასიონის უღელტეხილის დასაცავად. 1942 წლის შემოდგომაზე ჩრდილო კავკასიაში 392-ე ქართული დივიზიის დაღუპულ და დაკარგულთა 400 კაციან სიაში 6 დედოფლისწყაროელი მებრძოლიცაა.

№89 — **ღვედაშვილი ივანე ვასილის ძე,** დაბადებული 1913 წ, ზემო მაჩხაანი. გარდაიცვალა 27.09.1942 წ.

№135 — **ქისტაური სოლომონ გიორგის ძე**, დაბადებული 1905 წ, წითელწყარო, ქვემო ქედი. გარდაიცვალა 25.09.1942 წ.

№223 — **მარტიაშვილი ივანე პავლეს ძე**, დაბადებული 1913 წ, დედოფლისწყარო. დაიღუპა 09.09.1942 წ.

№255 — **ბენაშვილი ვლადიმერ სიმონის ძე,** დაბადებული 1921 წელს სოფელ ზემო მაჩხაანში. გარდაიცვალა 10.09.1942 წ.

№293 — **ჯამასპიშვილი ლევან ვასილის ძე**, დაბადებული 1910 წ, წითელწყაროს სოფელი ზემო მაჩხაანი. გარდაიცვალა 09.09.1942 წ.

№308 — **ბოსტოღანაშვილი ზაქარია ივანეს ძე,** დედოფლისწყაროს რაიონი.

მართალია ამ ჩანაწერებში ეს პირები დაკარგულებად არის მოხსენიებული, თუმცა გაზეთმა „შირაქმა“ აქედან ორი მებრძოლის საფლავის ადგილმდებარეობის შესახებ ჩანაწერები სხვა დოკუმენტებში შენიშნა. რუსეთში, ყაბარდო ბალყარეთში, მაისკის რაიონში ქართველთა სასაფლაოზე დაკრძალულია ქისტაური სოლომონ გიორგის ძე და ღვედაშვილი ივანე ვასილის ძე. ამ ჩანაწერებს არ ახლავს დაბადების თარიღები, თუმცა გვარი სახელი და მამის სახელი ემთხვევა, ისიც მკაფიოდაა მითითებული, რომ ისინი დედოფლისწყაროდან არიან. გამოდის, რომ საფლავის არარსებობის შესახებ ინფორმაცია ორ შემთხვევაში დაზუსტდა და ჩანაწერებში გაირკვა, სად დაიკრძალნენ ქვემო ქედელი ქისტაური და ზემო მაჩხაანელი ღვედაშვილი.

ასევე, 1942 წლის 16—26 იანვარს ქერჩში, ფეოდოსიის მისადგომებთან დაიღუპნენ ქართელი მებრძოლები, რომელთა შორისაა 1905 წელს დაბადებული **ფიროსმანაშვილი ილია იოსეგის ძე**, მცხოვრები წითელწყაროს სოფელ მირზაანში. 404-ე მსროლელი დივიზიიდან **ლაზარევი მიხეილ ანდროს ძე**, დაბადებული 1914 წელს წითელწყაროს რაიონში. ასევე **ჯანაშვილი ანდრო ისააკის ძე,** დაბადებული 1910 წელს, საცხოვრებელი ადგილი დაუდგენელია. ამავე სიაშია **მარტონოშვილი ივანე ალექსანდრეს ძე**, თუმცა გვარი დამახინჯებულია და შესაძლოა იყოს მარტყოფლიშვილი, დაბადებული 1911 წელს, აბაშის სოფელი ნაესაკოვო. შესაძლოა მისამართიც მცდარია.

კრასნოდარის მხარეში არსებულ ძმათა სასაფლაოზე №2826 დაკრძალულია **ყოჩიაშვილი გიორგი ფირუზის ძე**. №2406 **ყოჩიაშვილი ვალიკო არსენის ძე**, აქვე №2726-ითაა დაკრძალული **ალუღიშვილი დიმიტრი გიორგის ძე**; №2333 **მარტყოფლიშვილი ქარუმ საბას ძე**; №2181 **ჯამასპიშვილი ზაქარია ნიკოლოზის ძე**; №2182 **ჟენჟეშვილი** (გვარი არასწორად იკითხება) **სოლომონი**, დაბადებული 1910 წ დედოფლისწყარო. №2137 **ჯანაშვილი დიმიტრი დავითის ძე**; №2158 **სეხნიაშვილი შალვა**; №2053 **სულაშვილი პორფილე ივანეს ძე.**

ვოლგოგრადში, მამაის ყორღანზე დაკრძალულ ქართველთა შორისაა 1942-43 წლებში სტალინგრადის დაცვისთვის ბრძოლებში დაღუპული **ყოჩიაშვილი ადამ ივანეს ძე**, დაიღუპა 20.10.1942 წ.

სსრკ თავდაცვის სახალხო კომისარის 1941 წლის 15 მარტის ბრძანებით წითელი არმიის რიგით და ოფიცერთა შემადგენლობას დაევალა რუსულ ენაზე შეევსოთ ჩანართი საკუთარი ვინაობის შესახებ, გაწვევის ადგილის და ნათესავის მონაცემის მითითებით. ჩანართი იდებოდა რვაკუთხა ებონიტის კაფსულაში და იკერებოდა შარვლის სალტეში. ბევრი უბრალოდ ჯიბით ატარებდა. იყო ბევრი შემთხვევა, როდესაც სამხედრო პირი ჩანართს არ ავსებდა შეგნებულად.

ასეთი ზომების მიღება გამოიწვია ფინეთის ომში საბჭოთა არმიის პირადი შემადგენლობის დანაკარგმა და დანაკარგის აღურიცხაობამ. ვერ ხდებოდა დაღუპულთა იდენტიფიკაცია. დაჭრის დროს თუ სამხედრო პირს არ ძალუძს თავისი ვინაობის დაფიქსირება, ასევე, როდესაც საჭიროა დაღუპული სამხედროს ვინაობის დადგენა - მედალიონში არსებული ინფორმაცია იძლეოდა ამის საშუალებას. დიდი სამამულო ომის დაწყებამ საწყის ეტაპზევე ბევრი შეიწირა. ბევრი დაიღუპა ისე, რომ ამ მედალიონების ამოღების და გარდაცვალების ფაქტის დამდგენი აღარ რჩებოდა. განადგურდა შტაბები თავის დოკუმენტაციით. რადგან ჯარისკაცი არ იყო სახეზე, არ იყო დადგენილი დაღუპვის ფაქტი ამიტომ ამოქმედდა ტერმინი „უგზო - უკვლოდ დაკარგული“.

1. უმრავლესების საჯარიმო ნაწილებში, საიდანაც ოჯახებში ჯარისკაცის დაღუპვის შესახებ შეტყობინება არ იგზავნებოდა. ტყვეთა ბანაკებში ათიათასობით საქართველოს მკვიდრის შესვლა ქართულ ლეგიონში - ქართულ ბატალიონებში. პოლონეთი, რუმინეთი, საფრანგეთი, იტალია, კუნძული გერნსი ლა მანშის სრუტეში, ნიდერლანდები სავსეა ქართველ ლეგიონერთა საფლავებით. მარტო იტალიაში, ქალაქ კოსტერმანოს სასაფლაოს ერთ მხარეს დაკრძალულია ქართველები რომლებიც გაიქცნენ ლეგიონიდან და იტალიელ პარტიზანებთან ერთად ებრძოდნენ გერმანელებს, ხოლო მეორე მხარეს ქართველი ლეგიონერები დაიღუპნენ პარტიზანებთან ბრძოლის დროს.

ოფიციალურად ყველა უგზო - უკვლოდ დაკარგულად ჩაითვალა მაშინ და ითვლება დღესაც. თუმცა სამხედრო არქივებში იძებნება დოკუმენტები ამ პირთა შემდგომი ბედის შესახებ.

2. საბჭოთა ჯარების წარუმატებელი შეტევები და რეიდები, როდესაც შეტევაზე გადასული ჯარის ნაწილები ხვდებოდნენ ალყაში, იფანტებოდნენ, ნადგურდებოდნენ, ან უკან დახევის დროს დაღუპულებს ბრძოლის ველზე ტოვებდნენ, ხოლო დაჭრილები ვერ გამოჰყავდათ.

3. 1942 წლის მაის - ივნისის ქერჩის კატასტროფა. ბევრი ქართველი და საქართველოს მკვიდრი დაიღუპა და ტყვედ ჩავარდა ამ დროს. ბრძოლების დამთავრების შემდეგ გერმანელებმა გამოიყვანეს ადგილობრივი მოსახლეობა და ეპიდემიის თავიდან აცილების მიზნით თხრილებში და ორმოებში დამარხეს დაღუპულები. მედალიონის ამოცლაზე და დაფიქსირებაზე არავინ ფიქრობდა. ამიტომ დღესაც რომ პოულობენ ნეშტს მედალიონთან ერთად - ჩანაწერის წაკითხვა და დაღუპულის ვინაობის დადგენა ზეიმია მაძიებელთათვის. უფრო მეტი სიხარულია როდესაც დაღუპულს პატრონი გამოუჩნდება.

4. 1947 წელს დანაკარგების დადგენის მიზნით ადგილებზე სამხედრო კომისარიატებს მიეცა უფლება შინმოუსვლელთა ოჯახების მომართვების საფუძველზე დაედგინათ შინმოუსვლელთა სტატუსი. ძირითადად ეს ხდებოდა ოჯახში ბოლო წერილის მისვლის თარიღიდან ორი თვის შემდეგ. პირობითად - თუ წერილი დათარიღებული იყო 1942 წლის აპრილით, შინმოუსვლელი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ცხადდებოდა 1942 წლის ივნისიდან.

თუ ეძებთ გასულ საუკუნეში ქვეყნის საზღვრებს გარეთ დაკარგული წინაპრის ნეშტს და გაინტერესებთ სადაა დაკრძალული თქვენი თქვენი ახლობელი, მოგვწერეთ რედაქციაში. ვეცდებით, გადავამოწმოთ ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაცია და დაგეხმაროთ მოძიებაში.

ილია მარტყოფლიშვილი

სასწრაფო დახმარება ჩვენს ცხოვრებაში

ქ. დედოფლისწყაროს მესამე საბავშო ბაღის 3-4 წლიანთა ჯგუფი საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დედოფლისწყაროს სამსახურს ეწვია და მათი მუშაობის სპეციფიკას ადგილზე გაეცნო.

როგორც ჯგუფის აღმზრდელმა **ნანა სეხნიაშვილმა** გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, ბავშვების მედიკოსებთან ვიზიტი პროექტის „სასწრაფო დახმარება ჩვენს ცხოვრებაში“ ფარგლებში განხორციელდა. მასწავლებელი პროექტის მიზნებსა და მიღწეულ შედეგებზე გვესაუბრა.

„იმდენად ხშირად თამაშობენ ექიმობანას, აშკარად დიდი ინტერესი ჰქონდათ, ამიტომ შევთავაზე, რომ თუ სურდათ, ექიმებთან წავსულიყავით და გაგვეცნო. ახალი სასწავლო სტანდარტები ითვალისწინებს ასეთი აქტივობების განხორციელებას და გაზაფხულზე კიდევ ვგეგმავთ ამგვარ პროექტებს. ჩვენი მიზანი იყო ბავშვებს თეთრხალათიანი ექიმების არ ეშინოდეთ და ამ ასაკიდანვე დაძლიონ დაძაბულობა მათთან შეხების დროს. მნიშვნელოვანია ჩვენი აღსაზრდელები აცნობიერებდნენ, რომ ისინი რთულ მომენტებში გვეხმარებიან და ჩვენს ჯანმრთელობაზე ზრუნავენ. გვინდოდა პატარები მედიკოსებთან უშუალო კონტაქტით დაგვერწმუნებინა, რომ ისინიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან და მათი იმედი ყოველთვის უნდა ჰქონდეთ. ამიტომაც შედგა ეს ვიზიტი. ერთადერთი ის გაუკვირდათ, რომ მათ თეთრი ხალათები არ ეცვათ და სხვა ფორმებით იყვნენ. განსაკუთრებით დაინტერესდნენ მათი ტრანსპორტით. ისინი სასწრაფო დახმარების ავტომობილშიც ჩავსვით და ყველაფერი დაწვრილებით ავუხსენით. ძალიან ნაყოფიერი დღე გვქონდა, ემოციებით დატვირთულნი და ბედნიერები დავბრუნდით, დიდი მადლობა მინდა ვუთხრა სასწრაფო დახმარების სამსახურს, მის თითოეულ თანამშრომელს, ექიმს ქეთინო ნოზაძეს, მედდას ირმა გოგიჩაიშვილს, ბავშვების მშობლებს“ — აღნიშნავს ნანა სეხნიაშილი.

რამდენიმე დღის შემდეგ სასწრაფო დახმარების ეკიპაჟი ბავშვებს ამჯერად საბავშვო ბაღში ესტუმრა. აღსაზრდელებმა ექიმების როლი მოირგეს და მასწავლებლებს სამედიცინო მანიპულაციები ჩაუტარეს.

საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დედოფლისწყაროს სამსახურის ხელმძღვანელი **ფატი ჯანყარაშვილი** გაზეთ „შირაქს“ ეუბნება, რომ პატარებს სიამოვნებით უმასპინძლეს.

„ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა საბავშვო ბაღის აღსაზრდელები ცენტრში გვესტუმრნენ და ჩვენი პროფესიით დაინტერესდნენ. სასიამოვნოა პატარების ინტერესი და ყურადღება ჩვენს მიმართ. გვახარებს ის ფაქტი, რომ ჩვენი პროფესია ასე მოსწონთ. ამიტომ, სიამოვნებით ჩავერთეთ ამ პროექტში და ვეცადეთ მათი ინტერესი დაგვეკმაყოფილებინა. შემდეგ ჯერზე უკვე ჩვენი ჯგუფი ესტუმრა მესამე საბავშვო ბაღს და პატარებს ადგილზე შეასწავლეს სხვადასხვა სამედიცინო მანიპულაციები“ — აღნიშნავს ფატი ჯანყარაშვილი.

აღსაზრდელების მშობლები მადლობას უხდიან ჯგუფის აღმზრდელს, ნანა სეხნიაშვილს და მიიჩნევენ, რომ ასეთი აქტივობები პატარების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია:

„ჩემს შვილს ექიმის არ ეშინია, ხშირად თამაშობს, მაგრამ ბევრ ბავშვს თრგუნავს ექიმების დანახვა და ტირილს იწყებს. მნიშვნელოვანია, როცა უშუალოდ მასწავლებელი გააცნობს და მიუთითებს, რომ ექიმი ადამიანის დამხმარეა. მშობლების სახელით მადლობა გვინდა ვუთხრათ მესამე საბავშვო ბაღს ამ იდეისთვის და სასწრაფო დახმარების ადგილობრივ სამსახურს მასპინძლობისთვის. ისეთი ინტერესით უსმენდნენ ბავშვები, ვფიქრობ, ეს დღე არასოდეს დაავიწყდებათ,“ — აცხადებს მშობელი, რუსუდან ნადირაშვილი.

ილია მარტყოფლიშვილი

ლაშა ბექაური – წლის სპორტსმენი უკვე მეორედ

15 ნოემბერს, სასტუმრო „ჰოთელს&პრეფერენს ჰუალინგ თბილისში“ გაიმართა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის 2024 წლის სპორტული შედეგებით სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალი.

ღონისძიებას ესწრებოდნენ პრემიერ მინისტრი ირაკლი კობახიძე, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე შალვა გოგოლაძე, ოლიმპიური ჩემპიონ-პრიზიორები, მოქმედი და ვეტერანი სპორტსმენები, სპორტული საზოგადოების წარმომადგენლები და სხვა მოწვეული სტუმრები. დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა სეოკ-ის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა.

სეოკ-ის მიერ განსაზღვრული ნომინაციებში გამოვლინდნენ გამარჯვებულები: 2024 წლის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენებად დასახელდნენ პარიზის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები - ლაშა ბექაური (ძიუდო), გენო პეტრიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), ლაშა ტალახაძე (ძალოსნობა).

2024 წლის საუკეთესო მწვრთნელებად - ლაშა გუჯეჯიანი (ძიუდო), გიორგი იანტბელიძე (თავისუფალი ჭიდაობა), გიორგი ასანიძე (ძალოსნობა).

ელიას მთის ნაძვნართან ეკლესია აშენდება

გვინდა გაცნობოთ სასიხარულო ინფორმაცია! მიმდინარე წლის 25 სექტემბერს, ჩვენი ეპარქიის დროებითი მმართველის, მეუფე თეოდორეს ლოცვა კურთხევით, ქალაქ დედოფლისწყაროში, ელიის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ნაძვნართან, ახალი სასაფლაოს გვერდით, საფუძველი ჩაეყარა ჯვართამაღლების სახელობის ტაძრის მშენებლობას! ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენი ქვეყნის და ხალხის უდიდეს სიყვარულსა და პატივისცემას ქრისტიანული სარწმუნოებისა და მართლმადიდებლობისადმი.

აშენდება კიდევ ერთი სიმშვიდისა და სულიერების კერა ჩვენს მუნიციპალიტეტში! დარწმუნებულები ვართ, ეს ტაძარი გახდება უფლისადმი სიყვარულის გაძლიერების, სულიერების ამაღლების, ერთიანობისა და ჩვენი მომავალი თაობების ჩამოყალიბების კიდევ ერთი წმინდა ადგილი ჩვენს უსაყვარლეს დედოფლისწყაროში!

ერთად შევქმნათ ტაძარი, რომელშიც ქრისტიანულ, მართლმადიდებულ ღვთისმსახურებასთან ერთად, აღევლინება ლოცვა ჩვენი მიცვალებულების მიმართ!

ტაძრის მშენებლობა საქველმოქმედო პროექტია და თითოეული თქვენგანის თანადგომა და მხარდაჭერა, მნიშვნელოვანია პროექტის დროული განხორციელებისათვის!

შემოწირულობის მსურველთათვის, ტაძრის მშენებლობის საბანკო რეკვიზიტებია:

GE42TB7941036080100012

წინასწარ გიხდით მადლობას გულისხმიერების გამოხატვისა და მხარდაჭერისთვის!

უფალმა დაგლოცოთ!

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“

2025 წლისთვის გაზეთ „შირაქის“ პერიოდულობა კვლავ ყოველკვირეული იქნება, 8 გვერდიანი და ფერადი.

მთელი წლით გამოწერა 20 ლარია, ხოლო 6 თვით – 10 ლარი.

გამოიწერეთ და სახლში მიიღეთ გაზეთი „შირაქი“ – შეიტყვეთ ყველაფერი დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

იყიდება

დედოფლისწყაროში კერძო აგურის სახლი 170 კვ.მ, ბელეტაჟზე. მეტალოკრამიტის გადახურვით, მეტალოპლასტმასის ფანჯრებით. სამზარეულო, აბაზანა-ტუალეტი შიგნით და კაფელ-მეტლახით გაკეთებული, ჭერზე „გიფსოკარდონებით“, გათბობით, ცივი და ცხელი წყლით. ყველაფერი ახალი გარემონტებული. ეზო 800 კვ.მ ხეხილით, რკინის კარით. ფასი 34 700$ ტელ: 595 32 47 61

ვაკანსია!

შპს „ჯთს რითეილ“-ი აცხადებს ვაკანსიას სოფელ სამრეკლოში მდებარე ბენზინგასამართ სადგურში ჩამსხმელ-ოპერატორის პოზიციაზე. დეტალებისთვის დარეკეთ: **ტელ:595 42 40 10**

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 02.12		სამშაბათი 03.12		ოთხშაბათი 04.12		ხუთშაბათი 05.12		პარასკევი 06.12		შაბათი 07.12		კვირა 08.12	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	5°	–1°	6°	–3°	7°	–3°	7°	–3°	7°	-2°	7°	-2°	7°	-2°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი